ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

იჟფსბ-რდბჰფ

!( ვფბსცბლფყ

ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+

ჯეიმს ჰედლი ჩეიზი

.ქვის ჯუნგლი .მონაწილეები არ იქნებიან

შემდეგი — პერ ვალე

31-ე განყოფილების დალუპვა

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



!^ 2 !& bdybcb7 @)!@ 1142 (5832) afcb5 #) stshb



## სოზარ სუბარი კენჭს სამგორში იყრის, ლევან ბერძენიშვილი — ვაკეში

გვ.3

„ქართული ოცნება" მაჟორიტარების დასახელებას აგრძელებს



## აკაკი ასათიანი: საქართველოში ლიბიის სცენარი არ განმეორდება"

გვ.6

## რა როლს შეასრულებს ამერიკა ქართული არმიის მოდერნიზაციაში



გვ.5

ვაშინგტონი თავდაცვის სფეროში დახმარების შესახებ შეთანხმების დეტალებს აკონკრეტებს

## რატომ დუმს ჯონ ბასი ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე?

გვ.5



## გოგა ხაინდრავა: სააკაშვილი და მერაბიშვილი შავ ფულს ათეთრებენ"

გვ.4



## ხელისუფლება პენსიონერებს მინას უყადაღებს

გვ.3



## ქართული ოცნების" ახმეტის შტაბის ხელმძღვანელს სახლი დაუყადაღეს

გვ.4



ISSN 1987-9385

## ლალი ბადურაშვილი: იარეთ სპექტაკლზე, მაგრამ არ მიბაძოთ პერსონაჟებს"

გვ.7

6 ივნისიდან

ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+

ნტნხტპბ

* კფჰბ



# გოგა ხაინდრავა: სააკაშვილი და მერაბიშვილი შავ ფულს ათეთრებენ“

შორენა კოწოწაშვილი

**ქუთაისში პარლამენტის გადატანას მიუღებლად მიიჩნევს და სააკაშვილის შიშით ხსნის 'ამომრჩეველთა ლიგის' ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგა ხაინდრავა. ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ ივანიშვილის სტრატეგია წარმატებული იქნება, თუმცა, ის არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილმა რაღაც მძიმე შედეგების მომტანი მაინც განახორციელოს.**

– არ გამოვრიცხავ, რომ „ამ მომაკვდავმა გველეშაპმა, რომელსაც სააკაშვილი ჰქვია და ამ ნახევრად გახრწნილმა გველეშაპმა კუდი მოიქნიოს კიდევ და სისხლი დაღვაროს.

თუმცა, 27 მაისმა დამარწმუნა, რომ სააკაშვილი ამას ვერ გაბედავს, – აცხადებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი. ხაინდრავა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნა დამთავრდა, რომ უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი და იმ ჭორების კომენტირებას არ აპირებს, რასაც მერაბიშვილის ტელევიზია აცხადებს.

„ამომრჩეველთა ლიგის“ წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ივანიშვილის ფაქტორი დიდ როლს იქონიებს იმ კუთხით, რომ საქართველოში ჩადონ კაპიტალი სააკაშვილის ხელისუფლების წასვლის შემდგომ. ხელისუფლება კი, როგორც იგივე პრეზიდენტის და პრემიერის განცხადებებიდან ჩანს, უფრო მეტად აზიურ – აღმოსავლურ კაპიტალს ელის საქართველოში.

– აღმოსავლური კაპიტალი, როგორც წესი, უკონტროლო კაპიტალია. ეს ყველამ კარგად ვიცით. ეს არის კაპიტალი, რომელსაც სააკაშვილი ვითომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის იზიდავს და რეალურად საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვით არის დაკავებული. სააკაშვილიც და ეს ცალცალი კალოშით მოსული მერაბიშვილიც მილიარდერები გახდნენ. აღმოსავლური ქვეყნებიდან შემოსული კაპიტალი, ეს იყო კაპიტალი, რომლის ბოლომდე გაკონტროლება შეუძლებელია. ეს არის ოფშორული ზონები და უამრავი მამაძაღლობა. ცივილიზებული კაპიტალი არის ევროპული და ამერიკული კაპიტალი. აგრეთვე აზიური კაპიტალი – იაპონიის, ჩინეთის, გინდა სხვა ქვეყნების, მაგრამ კაპიტალი, რომელიც არის დათვლადი და გამჭვირვალე. ასეთი ტიპის ინვესტიციები საქართველოში არ ხორციელდებოდა. ჩვენ კარგად ვიცით ის დიდი მანქანა, რომელიც ცდილობდა, რომ ეს წარმოედგინა, როგორც დიდი საინვესტიციო პროექტები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამის უკან, როგორც წესი, „შავი ფული“ დგას. სააკაშვილს და მერაბიშვილს სარეცხი მანქანა ჰქონდათ გაკეთებული და ამ „შავ ფულს“ რეცხავდნენ, – აცხადებს გოგა ხაინდრავა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს საფინანსო წრეებში ძალიან დიდი ნდობა აქვს და როცა მის პირობებში მთავრობა გაკონტროლდება ასეთი ფიგურის მიერ, რომლისადმიც საფინანსო წრეებში ნდობა არის ძალიან მაღალი, ბუნებრივია, აქ ინვესტიციების შემოდინების კუთხით სხვა ვითარება იქნება.



**სააკაშვილის და მისი ხელისუფლების იმიჯის ვარდნის ფონზე სულ უფრო აქტიურად ისმის, რომ ქვეყნის პირველ პირს რეგიონების მხარდაჭერის იმედი აქვს და რომ მას თბილისი სძულს. პოლიტიკოსების ნაწილი სწორედ ამ სიძულვილს უკავშირებს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის ქუთაისში გადატანას, რომლის პრეზენტაციაც დამოუკიდებლობის დღეს მოხდა, რამდენიმე დღის წინ კი ახლად აშენებული პარლამენტის ჩამონგრევას ერთი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა.**

გოგა ხაინდრავა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორ იქნება გაცხადებული ბიძინა ივანიშვილის და მისი კოალიციის მხრიდან ის პირველი ნაბიჯები და საპროგრამო მესიჯები, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ეს კოალიცია აპირებს.

– ძალიან მნიშვნელოვანია დიპლომატიური ნაბიჯები და საქართველოს ხელისუფლების ფესვებს აგენტების მხრიდან გათავისუფლება. საქართველოს საგარეო უწყებას დღესაც რუსეთის ფესვებს აგენტი მართავს და დარწმუნებული ვარ, ვაშაძეს დღესაც საბჭოთა დროინდელი „ვოლგა“ ემსახურება. სააკაშვილმა საგარეო უწყება ვაშაძეს, ხოლო ეკონომიკა მთლიანად ფეესბეს მეორე წარმომადგენელს – კახა ბენდუქიძეს ჩააბარა. მისი ნაბიჯები იმაზე მეტყველებს, რომ მთელი კაპიტალი, რაც კი საქართველოში ფასეული იყო და რაც ჩვენი ქვეყნის პოტენციალს წარმოადგენდა, მთლიანად რუსებს გადასცა და კონკრეტულად, გენერალოვებს და იმ ჯგუფებს, რომლებიც პირდაპირ ფეესბესთან იყვნენ დაკავშირებულები. იგივე საგარეო უწყებაში ისეთმა პიროვნებამ, როგორიც ვაშაძეა, ქართული დიპლომატია პრაქტიკულად კრემლის სურვილებს დაუმორჩილა. ამის გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ დრო უნდა, – აცხადებს გოგა ხაინდრავა და ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს და საქართველო ევროპული განვითარების გზას დაადგეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პარლამენტის ქუთაისში გადატანას მმართველი პოლიტიკური ელიტა დიდ მოვლენად აფასებს და მათ პიარ-განცხადებებში საშიში მესიჯებიც იკითხება. საექსპერტო და ოპოზიციურ პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილებას იწვევს ლიდერების მხრიდან იმის ხაზგასმა, რაც იგივე პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან გაისმა: „ჩვენ, როგორც ახლად შექმნილი სახელმწიფო“ და ა.შ.

დავით ბაქრაძის ამ განცხადების კომენტირება გოგა ხაინდრავას ვთხოვეთ.

– ბატონო გოგა, რაც ნიშნავს მმართველი ელიტის მხრიდან მსგავსი აქცენტების გაკეთება – ქუთაისი მეორე დედაქალაქი, ახლად შექმნილი სახელმწიფო – იმ დროს, როცა არაერთი საუბრობს, რომ წასვლამდე სააკაშვილი კიდევ შექმნის ტერიტორიულ საფრთხეებს?

– ამ კითხვაზე შეიძლება პასუხი ორ ნაწილად გაგცეთ. პირველი, ესენი არიან მასხარები. სააკაშვილიც და ბაქრაძეც არიან მასხარები და საერთოდ, ყველა, ვინც ამ ფარსში მონაწილეობს, არიან მასხარები. არსებობს ისტორიული კანონზომიერება, რომლითაც საქართველოს დედაქალაქი იყო, არის და იქნება თბილისი. პოლიტიკური ცენტრიც და ნებისმიერი სახის ცენტრიც სწორედ თბილისი იქნება. ახლა, სააკაშვილის შიშები და პათოლოგია, რომლითაც თბილისთან დამოკიდებულებაში არის მტრული, ცნობილია. ის თბილისს ვერ იტანს. გარდა ამისა, ცნობილია სააკაშვილის ძალიან საეჭვო კავშირები სომხურ ლობთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სააკაშვილის ბოლო ვიზიტი გაიხსენეთ, რატომღაც ეს ქართულ პრესაში არ გახმაურდა. გადახედეთ უცხოურ პრესას და ნახავთ, რომ მას იქ სწორედ სომხურ ლობთან ჰქონდა შეხვედრა. ლოსანჯელესში მაგის გულისთვის იყო ჩასული, თორემ ლოსანჯელესი ამერიკაში პოლიტიკური ცენტრი არასოდეს არ ყოფილა. ნებისმიერი რამ შეიძლება იპოვო ლოსანჯელესში, გარდა სერიოზული პოლიტიკური ინსტიტუტებისა. ბუნებრივია, დღეს სააკაშვილის ერთადერთი დასაყრდენი არის სომხური ლობისტური ორგანიზაციები და სომხური ლობი, რომელიც სააკაშვილს თავისიანად მიიჩნევს და რომელსაც მიშამ უამრავი საქმე გაუკეთა. სხვათა შორის, სააკაშვილს ძალიან ხშირად აქვს თვითალიარებები. იმიტომ, რომ ენა პირში არ უჩერდება და ყველაფერს ლაპარაკობს. იმის თქმა, რომ თბილისი არის სომხეთის დედაქალაქი და არა საქართველოსი და მერე აზერბაიჯანიც მიაყოლა, ჯერ ერთი, არაკორექტულია როგორც საქართველოსთან, ისე იმ ქვეყნებთან მიმართებაში. იმიტომ, რომ სომხეთის დედაქალაქი ერევანია და ყოველთვის ერევანი იყო და არაფერი კავშირი თბილისს სომხურ სახელმწიფოებრიობასთან არასოდეს ჰქონდა, არც ექნება. ის, რომ თბილისი მრავალეროვანი ქალაქი იყო, ეს არის ჩვენი მემკვიდრეობა, მაგრამ მრავალეროვანი ქალაქები მსოფლიოში ბევრია. ეს განცხადებები იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან ხშირად, რაც სააკაშვილს თავში აქვს და რისი გაკეთებაც უნდა, წამოსცდება ხოლმე, რადგან ენა წინ უსწრებს. საერთოდ, მე ვფიქრობ, რომ მცდელობები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ შავი ზღვის მიმართულებით, ქვეყნის დაშლაზეა ორიენტირებული. ახლა, ვის ინტერესებშია საქართველოს დაშლა და ამ ქვეყნის საფუძვლების მორყევა, ამას ბევრი ფიქრი არ სჭირდება. აბსოლუტურად ნათელია, სააკაშვილი რას ახორციელებს. აჭარაში დღეს ის ხორციელდება, რასაც საუკუნეების მანძილზე ქართველები სისხლის ფასად იცავდნენ. რეალურად რომ შევხედოთ, აჭარა თურქეთის ერთ-ერთ რეგიონად გადაიქცა. თურქეთის სახელმწიფოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ისტორიული კუთხეები მთლიანად თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ გადავიდეს. დღეს ეს ფაქტობრივად ასეა. რელიგიურ თემას აღარ მინდა შევეხო, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რა ხდება და როგორ ხდება. აჭარაში ყველგან თურქული წარწერებია და ჩამოსული ადამიანი შეიძლება ვერც კი მიხვდეს, რომელ ქვეყანაშია – საქართველოში თუ თურქეთში. ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ეს მაინც მიუღებელია. ეს გარკვეულ მძიმე შედეგებს ტოვებს ქვეყანაში.

– ანუ ქვეყნის მთლიანობისთვის საშიში ნაბიჯები იდგმება სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან?

– რა თქმა უნდა. ეს არის პირდაპირ მიზანმიმართული ნაბიჯები. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და ამაში ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობს. როგორი მეგობრებიც არ უნდა იყვნენ ჩვენი მეზობლები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საქართველოში აქვთ მუდმივი ინტერესები. ამიტომ მუდმივი ურთიერთობები არ არსებობს. ისტორია არ ქრება.

## ივანიშვილის საქმეზე სასამართლო 21 ივნისს იმსჯელებს

თბილისის სააპელაციო სასამართლოში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვა 21 ივნისისთვის გადაიდო.

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა შალვა თადუმაძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, არჩილ კბილაშვილმა და ზაქარია ქუცნაშვილმა სხდომაზე თავისი მოსაზრებები დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ საქალაქო სასამართლოს 2011 წლის გადაწყვეტილება – ივანიშვილის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანების კანონიერად ცნობის თაობაზე, უკანონოა და სააპელაციო სასამართლოს მისი გაუქმება შეუძლია.

როგორც პროცესზე ბარამიძემ აღნიშნა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში რამდენიმე საპროცესო დარღვევაა და „მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მიმართ ზერელე დამოკიდებულება დაფიქსირდა.

„კანონის მოთხოვნაა, რომ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების თავიდან ასაცილებლად ნებისმიერი გადაწყვეტილება დასაბუთებელი იყოს. პრეზიდენტმა, ასევე, გამოსცა უკანონო აქტი და არ ან ვერ დაასაბუთა ის“– განაცხადა სხდომაზე ბარამიძემ.

ადვოკატების მტკიცებით, მტკიცებულებებიდან ცალსახად ჩანს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პირადი ინტერესები ჰქონდა ივანიშვილის მიმართ და სწორედ ამიტომ, მოქალაქეობის ჩამორთმევით, მას პირადად გაუსწორდა.

სხდომაზე თავისი მოსაზრებები მოპასუხე მხარემ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი გაბრიელაშვილმა და პრეზიდენტის წარმომადგენლებმა ნანა ქოიავამ და თინათინ სირაძემაც დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ აპელანტის ლოგიკა კანონის ფარგლებს სცილდება. მათი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი მოქმდებედა კანონით მკვეთრად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. პრეზიდენტის მხარის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილის განცხადებით, სხდომა 21 ივნისს 10.00 საათიდან მტკიცებულებების განხილვით დაიწყება.

ნიუსპრესი

## დემოკრატიულ მოძრაობას“ არჩევნებში მონაწილეობა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს

– პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის გენერალურმა მდივანმა ვახტანგ ყოლბაიამ განუცხადა.

მისი თქმით, გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალურად შიეცვლება სიტუაცია ქვეყანაში.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ პარტიულ ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან, ვარკვევთ, რა სიტუაციაა ქვეყანაში საარჩევნოდ. ჩვენ თბილისში 50 ათასს, ბათუმში კი 10 ათასზე მეტ ოჯახს შევხვდით და“, – აცხადებს ყოლბაია.

მისივე თქმით, შეხვედრებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში წინასაარჩევნო სიტუაცია რთულია.

ჩვენ გვაქვს ოლქების სია, სადაც შეიძლება გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მაჟორიტაროების კანდიდატები დავასახელოთ, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა“, – აღნიშნავს ყოლბაია.

ინტერპრესნიუსი

## თურქეთის სახელმწიფო სასწავლებლებში, შესაძლოა, აფხაზური ენის სწავლება შემოიღონ

თურქეთის სახელმწიფო სასწავლებლებში და სკოლებში შესაძლოა, აფხაზური ენის სწავლება შემოიღონ.

ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ თურქულ გაზეთზე დაყდნობით ავრცელებს.

თურქული გამოცემის ინფორმაციით, ქვეყნის პარლამენტში თურქეთის განათლების მინისტრი ომერ დინჩერი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ქვეყნის სახელმწიფო სასწავლებლებსა და სკოლებში იმ ხალხების ენების სწავლება შეეხო, რომლებიც თურქეთში ცხოვრობენ, მათ შორის ეს აფხაზურ ენასაც ეხება.

გამოცემა აცხადებს, რომ თურქეთის პარლამენტში აღნიშული საკითხი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არაერთხელ განიხილებოდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# სოზარ სუბარი კენჭს სამგორში იყრის, ლევან ბერძენიშვილი — ვაკეში

## „ქართული ოცნება" მაჟორიტარების დასახელებას აგრძელებს

ნათია ხურცილავა

**კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა თბილისში მაჟორიტარობის ის კანდიდატები დაასახელა, რომლებმაც კვლევებში გაიმარჯვეს.**

დავით ბერძენიშვილის განცხადებით, სამგორში შესამჩნევი უპირატესობით გაიმარჯვა სოზარ სუბარმა, ვაკეში — ლევან ბერძენიშვილმა, ნაძალადევში — ეკა ბესელიამ, მთაწმინდაზე — ვახტანგ ხმალაძემ, დიდუბეში — დავით ბერძენიშვილმა, ჩუღურეთში — ვიქტორ დოლიძემ.

ბერძენიშვილის განცხადებით, კრწანისის რაიონში ორი ლიდერი კანდიდატი — გიორგი ცაგარეიშვილი და შოთა ხაბარელი გამოიკვეთა.

რაც შეეხება თინა ხიდაშელს, ის სამ ოლქში — გლდანში, საბურთალოსა და ისანში ლიდერობს.

— კვლევებში გამარჯვებული კანდიდატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ორი თვის განმავლობაში არავითარი ინფორმაციის გაჟონვა არ ყოფილა შიდა მოხმარების კვლევებიდან. მხოლოდ ბოლო ერთი კვირაა, რაც ამ თემაზეა საუბარი. სანამ კვლევები დაიწყებოდა, კოალიციის პოლიტსაბჭოს ათივე წევრი შეთანხმებული ვიყავით, რომ სოციოლოგიური კვლევა ერთ-ერთი იქნებოდა და არა ერთადერთი კრიტერიუმი მაჟორიტარი კანდიდატის გამოსავლენად, იმისთვის, რომ ჩვენ გვინდოდა, სურათი დაგვენახა, რომელ შესაძლო კანდიდატს თბილისის რომელ ოლქში ექნებოდა უკეთესი სასტარტო პირობები. ზოგი კანდიდატი, მათ შორის კარგი შედეგის მქონე კანდიდატიც შესაძლოა ასევე კონკურენტუნარიანი ან უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო თბილისის გარეთ, რომელიმე საარჩევნო ოლქში. გასაგებია, რომ თბილისში უკეთესი პირობებია, ვიდრე ამა თუ იმ რეგიონში. ამიტომ შეიძლება თბილისის რომელიმე ოლქში გამარჯვებული კანდიდატი აღმოჩნდეს არა იმ ოლქში, არამედ რეგიონში, რომელიმე საარჩევნო ოლქში, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „პრესაჯიტვ-ს" პრესკლუბში.

დავით ბერძენიშვილის განცხადებით, გასათვალისწინებელია პოლიტიკური ბალანსი.

— თუ დაახლოებით თანაბარი შანსების მქონე კანდიდატები არიან ამა თუ იმ პარტიიდან, მაშინ, იმის მიხედვით, რომ კოალიციის ბალანსი ყოფილიყო, შესაძლოა, არჩევანი გაკეთებულიყო რომელიმე იმ კანდიდატის სასარგებლოდ, რომლის პარტიაც ნაკლებად იქნებოდა წარმოდგენილი თბილისისა თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო ოლქებში, — ამბობს დავით ბერძენიშვილი და იქვე განმარტავს, რომ ყველა ეს კრიტერიუმი წინასწარ იყო შეთანხმებული.

ამდენად, ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის შედეგები არ ნიშნავს იმას, რომ ზემოხსენებული პოლიტიკოსები მაინცდამაინც თბილისის რაიონების მაჟორიტარობის კანდიდატებად დასახელდებიან.

— შესაძლოა, საქმიანობდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, იაროს სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, უბან-უბან და ეს იყოს მისი შენატანი საერთო ყულაბაში, — აცხადებს ბერძენიშვილი.

დავით ბერძენიშვილის ინფორმაციით, პირველი გამოკითხვა იაგო კაჭკაჭიშვილმა აპრილში ჩაატარა, რომლის დროსაც 3800 მოქალაქე გამოიკითხა. მეორე კვლევა სამი კვირის შემდეგ ზურაბ ბიგვავას ხელმძღვანელობით ჩატარდა და ორივე კვლევის შედეგები ერთმანეთს დაემთხვა.



ბერძენიშვილის თქმით, გამოკითხვაში სულ 25 კანდიდატი მონაწილეობდა.

— პირველი კვლევა აპრილში იაგო კაჭკაჭიშვილმა ჩაატარა. სამი კვირის შემდეგ მაისში იმავე კითხვარითა და კანდიდატებით მეორე კვლევა ჩატარდა სხვა სოციოლოგიური სამსახურის მიერ ზურაბ ბიგვავას ხელმძღვანელობით. მეორე კვლევამ სრულად დაადასტურა პირველი კვლევის შედეგები. ჩვენ გვსურდა, გამოგვერიცხა შემთხვევითობა, ამიტომ ორი კვლევა ორი სხვადასხვა სამსახურის მიერ ჩატარდა და იდენტური შედეგები მივიღეთ. აბსოლუტურად ყველა გამონაკლისის გარეშე გამარჯვებული ამ კვლევებით ერთი და იგივე ხალხია, — აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

ბერძენიშვილის განცხადებით, თითოეულ კანდიდატს შესაძლებლობა ჰქონდა, რამდენიმე ოლქში გასინჯულიყო.

— გამარჯვებულები არიან ის კანდიდატები, რომელთაც ძალიან მაღალი ცნობადობა აქვთ. როდესაც მაღალ ცნობადობაზე ვსაუბრობ, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგის გამო და, უპირველესად ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგის გამო, პოლიტიკურ ალტერნატიულ ცენტრში ცნობილი ადამიანები კონკურენტუნარიანები არიან, — ამბობს ბერძენიშვილი.

დავით ბერძენიშვილმა ასევე დაასახელა მეორე ადგილზე გასული კანდიდატები. გლდანში თინა ხიდაშელს კონკურენციას კობა დავითაშვილი უწევდა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. ნაძალადევში კი ეკა ბესელიამ დავით ბერძენიშვილს მოუგო.

2008 წლის არჩევნებზე ეკა ბესელიას ნაძალადევში, ბერძენიშვილის განცხადებით, 20 ათასი ხმა აქვს აღებული.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ბერძენიშვილმა, შესაძლოა, გურიის ერთ-ერთ რაიონში იყაროს კენჭი მაჟორიტარად, „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ კომენტარს ჯერ ვერ გააკეთებს და ეს, სავარაუდოდ, 17 მაისს ოზურგეთში დაგეგმილ აქციაზე გახდება ცნობილი.

— მე ვიქნები თბილისში მაჟორიტარი თუ არ ვიქნები, ამის შესახებ ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ეს ოზურგეთის მიტინგზე გახდება ცნობილი. ზოგი სიით გახდება დეპუტატი, ზოგი — მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებით, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მიმდინარე თვის განმავლობაში დავით ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ მაჟორიტარობის კანდიდატები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ისინი მიმდინარე თვის ბოლოს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყებენ კარდაკარს და, თუ შედეგები ძალიან იქნება აცდენილი სახელმწიფო კომისიის შედეგებისგან, მაშინ ერთ-ერთი მათგანი მართალი არ იქნება. „გლობალ ტვ-ს" ამერიკელი მეწილის ალექსანდრე რონჟესის დაკითხვაზეც გააკეთა კომენტარი კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა.

— მისი დაკითხვა ადასტურებს, რომ ხელისუფლება ძალიან შეშფოთებულია და უფრო და უფრო მეტ შეცდომას უშვებს, — ამბობს დავით ბერძენიშვილი.

— რა შედეგი მიიღო ხელისუფლებამ — გააწვალა კაცი, ამერიკის მოქალაქე და მეტი ვერაფერი ქნა, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისივე შეფასებით, „გლობალ ტვ"-ს ირგვლივ განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ „ხელისუფლება ერჩის ინფორმაციას".

— ხელისუფლებას სურს, მოსახლეობა ან ნაკლებ ინფორმირებული იყოს, ან საერთოდ არ იყოს ინფორმირებული. მას აქვს შესაძლებლობა, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში მიიტანოს კონტროლირებადი არხების მეშვეობით და ის ხან ანტენებს ებრძვის, ხან საკანონმდებლო ინიციატივებს, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს ალტერნატიული ინფორმაცია. ნათელია, მათ ამის ეშინიათ, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

„გლობალ ტვ"-ს ამერიკელი მეწილე ალექსანდრე რონჟესი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საპასპორტო კონტროლის გავლისას დააკავეს. მისი დაკითხვა მოწმის სტატუსით დაახლოებით ხუთ საათს გრძელდებოდა.

„რესპუბლიკური პარტიისა" და კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი არ ადასტურებს ინფორმაციას, თითქოს გურიის კოორდინატორობა დატოვა.

— ჩვენ არ გვჭირდება არარეალისტური მოწოდებები, ოღონდ მოდით მიტინგზე და ორ საათში ან სამ დღეში ეს ხელისუფლება არ იქნებაო. ჩვენ ყოველგვარი მყისიერი დაპირების გარეშე კვირაში ერთხელ ვატარებთ მასობრივ, მრავალათასიან აქციებს. ამის დადასტურება იყო 27 მაისი, 10 ივნისი და 17 ივნისი იქნება გურიაში. გურია ლიდერი ოპოზიციური რეგიონია საქართველოში. ოზურგეთში გადაჭედილ დარბაზში შეხვედრის დროს გურულებს ვუთხარი, რომ წელს ამ არჩევნებში ძალიან დიდი კონკურენცია ელოდებათ იმერეთიდან და სხვა რეგიონებიდან. გურულებმა გაუძლებთო, მითხრეს, — ამბობს დავით ბერძენიშვილი.

კოალიცია „ქართული ოცნება" შემდეგ მასშტაბურ აქციას აღმოსავლეთში გამართავს.

---

ნათია ხურცილავა

# ხელისუფლება პენსიონერებს მიწას უყადაღებს



„ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებისგან პენსიონერების საპენსიო ანგარიშების დაყადაღებას აპროტესტებენ.

როგორც პარტიის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ „ახალ თაობასთან" საუბარში განაცხადა, მიუხედავად ხელისუფლებისადმი არაერთი მიმართვის და საკითხის დასმისა, მაკონტროლებელი ორგანოები, ძირითადად შემოსავლების სამსახური, კვლავ აქტიურად განაგრძობენ სხვადასხვა დავალიანების არსებობის მოტივით, პენსიონერების საპენსიო ანგარიშების დაყადაღებას და საპენსიო თანხების იძულების გზით ამოღებას.

ლევან კალანდაძემ აღნიშნულის საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითები და ფაქტებიც დაასახელა.

ინტერვიუ ლევან კალანდაძესთან:

— ბატონო ლევან, კვლავ პრაქტიკაში რჩება საპენსიო ყადაღა?

— დიახ, ტენდენცია, რაც ადრე იყო საპენსიო ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებით, დღემდე გრძელდება. ეს პრობლემა უკავშირდება ნებისმიერი სახის დავალიანების წარმოშობას. თუ პენსიონერს წარმოეშობა, მაგალითად, მიწის იჯარის გადასახადის დავალიანება, ქონების გადასახადის დავალიანება ან გარკვეული კომუნალური გადასახადის დავალიანება, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მეშვეობით, ყველა ანგარიშს აყადაღებს, რომელიც გააჩნია პენსიონერს. მათ შორის, საპენსიო ანგარიშს და ახდენს საპენსიო ანგარიშებზე ჩარიცხული პენსიის თანხის ამოღებას ბიუჯეტის სასარგებლოდ. რეალურად იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც პენსიონერები, რომლებსაც შემოსავლის სხვა ალტერნატიული საშუალება არ გააჩნიათ, რჩებიან ყოველგვარი საშუალებების გარეშე. ეს არის სოციალური და პოლიტიკური პრობლემა. რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ პირობა მისცა პენსიონერებს, რომ დაყადაღება არ შეეხებოდა საპენსიო ანგარიშებს. მიუხედავად ასეთი დაპირებისა, ეს მაინც გრძელდება.

— კონკრეტული მაგალითები თუ გაქვთ?

— რასაკვირველია, შემოსავლების სამსახურის ადგილობრივმა ორგანომ მიწის იჯარის დავალიანების მოტივით, ასპინძის რაიონის სოფელ ოშორას მკვიდრის, პენსიონერ ვაჟა შავაძის საპენსიო ანგარიშს ინკასო დაადო და ამ ანგარიშზე ჩარიცხულ ყოველთვიურ პენსიას მას იძულების გზით აჭრის. შესაბამისად, პენსიონერი და მისი ოჯახი ყოველგვარი შემოსავლის გარეშეა დარჩენილი. ჯერ ვაჟა შავაძის სახელზე ადგილობრივი გამგეობის უშუალო მითითებით გააფორმეს სოფელ ოშორას მკვიდრთა სახელზე გასაფორმებელი მიწის ნაკვეთები, ვითომდა მართვის პროცესის გასამარტივებლად, და უკვე შემდგომ, დავალიანების წარმოშობის შემდეგ, დააყადაღეს მისი საპენსიო ანგარიში. გამგებლების უშუალო მითითებით სოფლის მცხოვრებლებზე გასაფორმებელი მიწები ერთ კონკრეტულ პირზე ფორმდება და ის ხდება იურიდიული მფლობელი. შესაბამისად, ეს პირი ახდენს თანხების მობილიზებას სხვა თანასოფლელებისგან და ახდენს მიწის საიჯარო გადასახადის შეტანას ბიუჯეტში. როდესაც წარმოიშვება დავალიანება, შემოსავლების სამსახური ამ ადამიანების ანგარიშებს აყადაღებს. ყველაზე მტკივნეული არის ის, რომ, როგორც წესი, ყადაღა ედება საპენსიო ანგარიშებს. იმის გამო, რომ ვილაცამ, თუნდაც სოფელში რამდენიმე ადამიანმა, მიწის საიჯარო გადასახადი ვერ გადაიხადა, ზარალდება ის ერთი კაცი, რომლის სახელზეც არის გაფორმებული მიწა და მისი საპენსიო ანგარიშების სრული ამოღება ხდება ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამ ადამიანებს პრაქტიკულად საარსებო წყარო პენსიის გარდა არ აქვთ. სოფელში ყველაზე მდიდარი ადამიანი დღეს პენსიონერია. შესაბამისად, ამ ადამიანისთვის მინიმალური პენსიის დაკარგვა, წარმოიდგინეთ, რამდენად მძიმეა.

— სხვა შემთხვევებიც არის?

— თითქმის იდენტური მდგომარეობაა სხვადასხვა რაიონებში, პრობლემის მასობრივი ხასიათი და ხელისუფლების ამგვარი მიდგომები იმ პენსიონერთა მიმართ, რომელთა სახელზეც არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები გაფორმებული, სერიოზულ ეჭვს ბადებს იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველივე ეს შეგნებულად და მიზანმიმართულად ხორციელდება. რაც ემსახურება დავალიანების გადაუხდელობის მოტივით გლეხებზე გაფორმებული მიწის ფართობების მათთვის ჩამორთმევას შემდეგი რეალიზაციის ან სხვა დანიშნულების გამოყენების მიზნით ან სხვა პირებზე იჯარით გადაცემის მოტივით. ეს საკმაოდ სერიოზული არგუმენტია. ამ არგუმენტს ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს. უმთავრესია ის, რომ პასუხი უნდა გასცეს საჯარიმო სანქციების და ადმინისტრაციული ბერკეტების შესუსტებითა და ლიბერალიზაციით. გასაგებია და არავინ არ დავობს, რომ როდესაც არსებობს დავალიანება ბიუჯეტთან ან სხვა ორგანიზაციის მიმართ, დავალიანება უნდა გადაიხადო. ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, გამოიყენოს გარკვეული იძულებითი გადახდევინების ღონისძიება, მაგრამ საუბარია, იძულებით გადახდევინების მეთოდები არ იქნას გამოყენებული საპენსიო ანგარიშებზე. რადგან, პენსია თავისი არსით, სოციალური მინიმალური გარანტიის შექმნის, ადამიანების ელემენტარული გამოკვების საშუალება. სხვა საშუალება ამ ადამიანებს რეალურად არ გააჩნიათ. ასეთი მიდგომებით ხელისუფლება ბედის ანაბარა ტოვებს ადამიანებს.

— თქვენ ეჭვზე საუბრობდით, იყო თუ არა კონკრეტული ფაქტები მიწის ფართობის ჩამორთმევის?

— ამასთან დაკავშირებით ფაქტები არ არის, იმიტომ, რომ მოცემულობა ასეთია: საპენსიო ანგარიშები დაყადაღებულია და საპენსიო ანგარიშებიდან იჭრება თანხები. ამას მასობრივი ხასიათი აქვს, მხოლოდ ერთ და ორ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე. ვიმეორებ, ერთ კონკრეტულ სოფელში კი არ ხდება მხოლოდ, ძალიან ბევრი მსგავსი ფაქტი გვაქვს, როდესაც საპენსიო ანგარიშების დაყადაღება ხდება. როდესაც მიწის დავალიანება, მაგალითად, 2 ათასი ლარია, 2 ათასი ლარის ამოღება საპენსიო ანგარიშიდან პრაქტიკულად წარმოუდგენელია, ამდენად, ხელისუფლების ეს ქმედება შედეგზე არაორიენტირებულია. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ პენსიის 100 ლარის ჩამოჭრით, ის ამ დავალიანებას ვერ ამოიღებს, ამიტომ ჩნდება ეჭვი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც დავალიანება არ დაიფარება, სრულიად შესაძლებელია ხელისუფლებამ გამოიყენოს სხვა ზომები.

— მაგალითად, მიწები ჩამოართვას ამ ხალხს?

— დიახ, მიწები ჩამოართვას, გაუწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება და ადამიანებმა მიწა დაკარგონ. ეს მიწები ამ ადამიანებისთვის სარჩო-საბადებელია და არა, სარეალიზაციო პროდუქცია აწარმოოს. ადამიანები ამ მიწაზე არიან სოფელში სრულად დამოკიდებული. შესაბამისად, ამ მიწების ჩამორთმევა თუ ასეთი პრეცედენტი დაშვებული იქნა, ამ ადამიანებს პრაქტიკულად ულუკმაპუროდ დატოვებს. ჩვენ ერთგვარ პრევენციულ დატვირთავს ვაძლევთ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას. ჩვენ ხელისუფლებას ვაფრთხილებთ, რომ შეიძლება ამან ადამიანები მიწის დაკარგვამდე მიიყვანოს. ამ საკითხის მოუგვარებლობამ შეიძლება სოფელი მიწის გარეშე დატოვოს. ის ადამიანები, რომლებიც მიწაზე არიან დამოკიდებული.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, უარი თქვას და გააუქმოს პენსიონერთა საგადასახადო ორგანოების მხრიდან საპენსიო ანგარიშების დაყადაღების და საპენსიო თანხების იძულების გზით ამოღების მანკიერი პრაქტიკა.

# რა როლს შეასრულებს ამერიკა ქართული არმიის მოდერნიზაციაში

თეა მარხვაიძე

**საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ამერიკას დიდი წვლილი აქვს შეტანილი. აგვისტოს ომი რომ არა, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. თუმცა ამ ომმა ბევრი რამე შეცვალა. რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით, ამერიკამ საქართველოსთან ფაქტიურად შეაჩერა სამხედრო თანამშრომლობა.**



ვაშინგტონი თავდაცვის სფეროში დახმარების შესახებ შეთანხმების დეტალებს აკონკრეტებს

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება სენატორ მაკკეინის რომ დარჩენოდა საქმე სხვაგვარად იქნებოდა. გამარკვება ობამას დარჩა. რომელმაც რუსეთთან ურთიერთობის დათბობა მოინდომა.

ამ დათბობას მნიშვნელოვნად აფერხებდა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობა. ამიტომაც ობამამ დროებით დაამუხრუჭა ეს მიმართულება.

ამის შესახებ უცხოურ პრესაში არაერთი მასალა დაიწერა. ამაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირად საუბრობენ, ოღონდ კულუარებში. ხმამაღლა ამერიკას საყვედურს როგორ გაუბედავენ. ხმამაღლა ამბობენ, რომ ეს თანამშრომლობა გრძელდება. ამაყობენ, რომ საქართველო ავღანეთში სამშვიდობო მისიას მისიას მისიაზე აგზავნის. მაშინ როცა ნატოს წევრ ქვეყნებს იქედან ერთამნეთის მიყოლებით გამოჰყავს ჯარები ჩვენ შეგვყავს და შეგვყავს. კარგი ეს თუ ცუდი ამას ისტორია განსჯის.

ამერიკა საქართველისთან თავდაცვის სფეროში დახმარების შესახებ შეთანხმების დეტალებს აკონკრეტებს. ამის შესახებ ნათქვამია აშს-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციაში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის შედეგებს აჯამებს.

– მიმდინარე წლის 30 იანვარს პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის გამართული შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისაუბრეს იმ პროგრესის შესახებ, რომელიც მიღწეული იყო პრეზიდენტ ობამას დაპირების შესრულების პროცესში. იგი გულისხმობს: ჩვენი თანამშრომლობის გაძლიერებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით; ნატო-სთან საქართველოს თავსებადობის გაზრდას ნატო-ში გაწევრიანებისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ; საქართველოს სამხედრო და თავდაცვითი სისტემის შემდგომ რეფორმირებას. ჩვენ განვიხილეთ ის გზები, რომლითაც დახმარებას გავუწევთ საქართველოს, რათა მან განავითაროს საჰაერო სათვალთვალო და საჰაერო თავდაცვისა და სანაპირო სათვალთვალო შესაძლებლობები, თავდაცვითი საბრძოლო საინჟინრო შესაძლებლობები, აგრეთვე გააუმჯობესოს სერჟანტების მეწინავე და საწვრთნელი უნარ-ჩვევები, ბრიგადის შტაბის მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები და მოემზადოს სატრანსპორტო შვეულმფრენთა ფლოტის გასაახლებლად, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მომდევნო თვეებში ანალიზისა და შეფასების ეტაპიდან იმპლემენტაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად, აშშ განიხილავს საქართველოს მოთხოვნებს, შეისყიდოს თავდაცვითი შეიარაღება და მომსახურება აღნიშნული წვრთნისა და დახმარების შესაბამისად.

აღნიშნული ჯგუფის სამუშაო შეხვედრაზე აშშ-მ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი უწყვეტი მხარდაჭერაც დააფიქსირა.

საქართველოში კლინტონის ვიზიტის შემაჯამებელ დოკუმენტში სხვა თემაზეც არის საუბარი. შახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში ვკითხულობთ, რო აშშ-ს საელჩოები ნეიტრალური დოკუმენტების მიღებას მალე დაიწყებენ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონის იმ მცხოვრებლებისთვის, რომლებსაც მათი გამოყენების სურვილი ექნებათ.

– ხალხთაშორისი სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა განიხილეს აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან საქართველოს მიერ კონტაქტის ხელშეწყობის გზები. შეერთებული შტატები ვარგის სამგზავრო დოკუმენტად აღიარებს სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტს შეერთებულ შტატებში სამოგზაუროდ. აშშ აღნიშნულ გადაწყვეტილებას შერიგების პროცესის წამახალისებელ ნაბიჯად მიიჩნევს, რაც ხელს შეუწყობს მიმოსვლის თავისუფლებას, შეამცირებს დაძაბულობას და საქართველოს სუვერენიტეტის შეუბღალავად ადამიანებს შორის კავშირ-ურთიერთობებს ჩამოაყალიბებს. მალე მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ს საელჩოები და საკონსულოები დაიწყებენ სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტების მიღებას ამ ორივე რეგიონის იმ მცხოვრებთათვის, რომლებსაც მათი გამოყენების სურვილი ექნებათ.

სამუშაო ჯგუფმა ასევე დაადასტურა სავიზო დიალოგის გაგრძელების და იმ ახალ შეთანხმებასთან დაკავშირებული გეგმები, რომელიც ორი ქვეყანის სამეცნიერო საზოგადოებას ერთმანეთთან კიდევ უფრო დაახლოებს. სტრატეგიული პარტნიორობის კომისია რჩება აშშ-სა და საქართველოს შორის ფართო და გაღრმავების გზაზე მდგარი თანამშრომლობის ორგანიზებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის უმთავრეს მექანიზმად, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

საქართველოსა და ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ გამოაქვეყნა წერილი გა,ოცემამ „ეურასიანეტმა". სტატიის ავტორი ჯოშუა კუცერა გახლავთ. სტატიის ქართულ თარგმანს საიტი „ფორეიგნპრესი" გვთავაზობს.

– საქართველოში თავისი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თბილისს მისთვის სასურველი, „სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებთან" დაკავშირებული ცნობები ჩაუტანა, რომელსაც საქართველოს შესაძლოა პირდებოდნენ კიდეც ამ წლის დასაწყისში პრეზიდენტ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დროს, მაგრამ მაშინ კონკრეტული არაფერი თქმულა.

ბათუმში სააკაშვილთან ერთად ყოფნის დროს (მანამდე, სანამ ადგილობრივი მეღვინეების ნაწარმს დააგემოვნებდა) მან დააკონკრეტა ის, თუ რას მოიცავს ეს ახალი თანამშრომლობა:

„ჩვენ წელს მოვილაპარაკეთ ასევე სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებზე. აშშ უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების წრთვნას და მხარდაჭერას ქვეყნის სანაპირო და საჰაერო კონტროლის სრულყოფის მიზნით. ჩვენ დავეხმარებით მას, ვერტმფრენთა პარკის განახლებაში, რათა შეუმსუბუქოთ რესპუბლიკას თავის ტერიტორიაზე მგზავრების და ტვირთის ტრანსპორტირება. ჩვენ ვაპირებთ ხელი შევუწყოთ საქართველოს შეიარაღებულ ძალების მომზადებას 21-ე საუკუნის სულისკვეთებით, რაც აუცილებელია ამოცანების განხორციელებისთვის დღევანდელ ცვალებად სამყაროში. ამ სიახლეების რეალიზებით საქართველო უფრო მტკიცე საერთაშორისო პარტნიორი გახდება, აიმაღლებს რა საკუთარ თავდაცვისუნარიანობის დონეს".

სახელმწიფო მდივანმა მონაწილეობა მიიღო ასევე ქართული მხარისთვის სანაპირო დაცვის ახალი ქართული კატარღის გადაცემის ცერემონიალში – ის ერთ-ერთია იმ სამ ხომალდს შორის, რომელიც აშშ-ს დახმარებით განახლდა:

„მე სიხარულით ვმონაწილეობ იმ საპატრულო კატარღის გადაცემის ცერემონიალში, რომელიც სულ მალე საქართველოს სანაპიროს დაცვის სამსახურში ჩადგება. ეს ხომალდი, მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით და შესაძლებლობებით, ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დადასტურებაა. საქართველო და ამერიკა ერთობლივად მუშაობდნენ მის მოდერნიზებაზე. და მე ვამაყობ იმით, რომ 2009 წელს აშშ-მ 10 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის დახმარების მიზნით, რათა ის უფრო მდგრადი, დამოუკიდებელი ერთეული გახდეს და შეძლოს ქვეყნის ტერიტორიული წყლების დაცვა და პატრულირება.

სამი საპატრულო კატარღის გარდა, ჩვენ ხელი შევუწყვეთ სარემონტო ვერფის აღჭურვას, თვალყურისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებების დანერგვას, ასევე მაღალტექნოლოგიური საზღვაო საინფორმაციო ცენტრის შექმნას. ეს ყველაფერი ხორციელდება საქართველოს საზღვრების უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის ჩვენს მიერ დაგეგმილი მხარდაჭერის ფარგლებში. ეს მოიცავს პოლიციის ახალი სანაპირო განყოფილებების შექმნას მოშორებულ ადგილებში, დოზიმეტრების დამონტაჟებას ყველა პორტში, დამატებითი მოწყობილობის გადაცემას, სასაზღვრო და შეიარაღებულ ძალთა წრთვნას, ნატოსთან კავშირების გაფართოვებას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ავღანეთში ჩვენი საერთო მისიის საშუალებით. აშშ ამ პარტნიორობის ერთგულია და მას მომავალშიც გააფართოვებს".

ეს ყველაფერი საქართველოსთვის სასარგებლოა, თუმცა ის სულაც არ წარმოადგენს იმ „თავდაცვითი ფუნქციის მატარებელ იარაღს", რომლის მიღებაც სააკაშვილს სურს, კერძოდ ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებას და საჰაერო თავდაცვის სისტემას. დეტალების არცოდნის ფონზე, გაურკვეველია ისიც, თუ რამდენად წარმოადგენს სიახლეს ეს „21-ე საუკუნის წრთვნა", რომელიც უკვე გარკვეული პერიოდია რაც მიმდინარეობს აშშ-ს მიერ იმ ქართული კონტიგენტის მომზადების ფარგლებში, რომელიც ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობს. ხოლო „ნაპირების და საჰაერო სივრცის კონტროლი", როგორც ჩანს სანაპირო დაცვის დახმარებით შემოიფარგლება, რაზეც ჰილარი კლინტონმა ისაუბრა.

მიუხედავად ამისა, თავად სააკაშვილმა, ჰილარი კლინტონის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილების ჩამოთვლისას პირველ რიგში ახსენა აშშ-ს მიერ გამოცხადებული პროგრამა „საქართველოს თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების შესახებ, რა კომპონენტებისგან შედგება, ძირითადი კომპონენტები გამოცხადდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

თუმცა, კითხვა შემდეგში მდგომარეობს: არის კი ეს ნაბიჯი გადადგმული სამხედრო თანამშრომლობის „ახალი საფეხურისკენ", რომელზეც, საქართველოს მთავრობის თქმით, ის აშშ-სთან ერთად გადადის, თუ სწორედ ეს არის ის საფეხური. (საქართველოსთვის) ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტშიც კი მათ არ უნდა მოსწონდეთ ობამას ადმინისტრაციის აშკარა სურვილი, რომ როგორმე პროცესი გააჭიანუროს.

# ქართული ოცნების" ახმეტის შტაბის ხელმძღვანელს სახლი დაუყადაღეს

თეა მარხვაიძე

„ქართული ოცნების" ახმეტის რაიონის შტაბის ხელმძღვანელი ზაქარია ქინქლაძე მორიგ შარში გაეხვია. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მას საცხოვრებელი სახლი დაუყადაღეს. მას შემდეგ, რაც ქინქლაძემ ივანიშვილის მხარდაჭერა გამოხატა, პრობლემა პრობლემაზე ექმნება.

ქინქლაძემ, რომელიც ახმეტის საკრებულოს წევრია, ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი ახმეტაში შარშან ოქტომბერში შექმნა. ამ ამბიდან ძალიან მალე მისი შვილი გაათავისუფლეს სამსახურიდან. შემდეგ მას კომერციული ფართის დაცლა მოსთხოვეს, რომელიც ნაქირავები ჰქონდა. ფართის მეპატრონემ სასამართლოშიც უჩივლა. რამდენიმე თვის წინ კი მისი მეურნეობა საეჭვო ვითარებაში დაიწვა. შემთხვევითობისა და ფათერაკისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ ეს ყველაფერი ქინქლაძის პოლიტიკურ აქტიურობას საეჭვოდ ემთხვევა.

– 2008 წელს საქართველოს ბანკიდან ავიღე 35 ათასი ლარის სესხი შპს „ახმეტისთვის". ჩემი შპს რაიონს კომპიუტერული ტექნიკითა და საკანცელარიო ნივთებით ამარაგებდა. 2009 წელს, მას შემდეგ, რაც 9 აპრილის აქციებში აქტიურად დავიწყე მონაწილეობა, ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით, ყველა ხელმომწერმა – სკოლებმა, საბავშვო ბაღებმა და ადმინისტრაციულმა დაწესებულებებმა ჩემ შპს-სთან გააუქმეს ხელშეკრულება, რის გამოც ვეღარ შევძელი ბანკიდან აღებული კრედიტის გადახდა და მისმა საპროცენტო დავალიანებამ 107 ათასი ლარი შეადგინა, – აცხადებს ზაქარია ქინქლაძე.

მას უკვე აღარ უკვირს, რომ მის თავს გაუგებრობები ხდება. არ გამორიცხავს, რომ მომავალშიც შეიძლება რამე გაუჩალიჩონ.

– ვიცი, რომ უარესს შეიძლება ველოდო. ოღონდ მე არ ვიყო ამ ადგილზე და ყველას რამეს მოუხერხებენ. მე ვერ მიყიდიან. მე დავალაგებ საარჩევნოდ ისეთ სქემას, რომელიც მაგათთვის პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. ყველა არჩევნებში მაქვს მიღებული მონაწილეობა და ყველა მომიგია თითქმის, რაც საჭირო იყო. ეგ აგიჟებთ და უნდათ, სახელი გამიტეხონ და ჩემს ნერვებზე ითამაშონ. დღე ერთია და 10 ჯაშუშს გზავნიან შტაბში, – განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში ზაქარია ქინქლაძემ.

მისი თქმით, ჯაშუშებისთვის სურათები გადაღებული აქვს და ყველას მალე გამოააშკარავებს. ხელისუფლება კომენტარებისთვის თავს არ იწუხებს. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ის, რაც ქინქლაძის თავს ხდება, პოლიტიკასთან და მათთან კავშირში არ არის.

არც ჩვენ ვამტკიცებთ რამეს, მხოლოდ ფაქტებს მოგითხრობთ, რომლებიც ქინქლაძეს ივანიშვილისთვის გამოცხადებული მხარდაჭერის გამო გადახდა თავს.

ქინქლაძე ახმეტის საკრებულოში რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენს. ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება მან 24 ოქტომბერს გააკეთა. 25 ოქტომბერს მას სამეწარმეო საქმიანობისთვის ნაქირავები ფართის დაცლა მოსთხოვეს. მისი შვილი კი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ცოტა ხანში ქინქლაძეს ფართის მეპატრონემ სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ მეოცნებეს ჯარიმა დააკისრა.

მიმდინარე წლის მარტში კი მისი მეურნეობა დაიწვა. ხანძარი საეჭვო ვითარებაში გაჩნდა. აი, რას წერდა ამ ხანძრის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი:

– 11 მარტს ახმეტაში „რესპუბლიკური პარტიის" რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზაქარია ქინქლაძის მეურნეობა დაიწვა. ხანძრის შედეგად ორი ჰექტარი ვაშლის ბაღი, ნახევარი ჰექტარი თხილის ნარგავი და საკურდღლე მინიფერმა მთლიანად განადგურდა.

„მამას მწყემსებმა დაურეკეს და უთხრეს, ერთი კილომეტრიდან ვხედავთ, ცეცხლი გაჩნდაო. როცა მამა ალაზნის პირას ჩავიდა, უკვე არც მნახველი იყო, არც ბაღი, არც ნარგავები", – განუცხადა ზაქარია ქინქლაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს. საიდან გაჩნდა ხანძარი, ჯერ უცნობია. ზაქარია ქინქლაძე არ გამორიცხავს, რომ მომხდარი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

9 მარტს, პარასკევს, ზაქარია ქინქლაძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმე მოიგო. შეგახსენებთ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრმა ზაქარია ქინქლაძემ გასული წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება გაავრცელა, რის შემდეგაც ზაქარია ქინქლაძეს სამეწარმეო საქმიანობისთვის ნაქირავები ფართის დაცლა მოსთხოვეს. განცხადების გავრცელებიდან მეორე დღეს სამსახურიდან გაათავისუფლეს მისი შვილი ლევან ქინქლაძე, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოში სპეციალისტად მუშაობდა. მეუღლემ კი პროტესტის ნიშნად დატოვა სკოლა, სადაც პედაგოგად მუშაობდა.

„ეს ფაქტი რომ პოლიტიკურ დევნად არ შეფასებულიყო, ფართის მეპატრონემ, ახმეტის პოლიციის თანამშრომელმა გიორგი ქისიშვილმა სასამართლოში მიჩივლა და იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევაში დამადანაშაულა. ქისიშვილი ჩემგან 1500 აშშ დოლარის გადახდას ითხოვდა. თელავის სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ და 9 მარტს პროცესი მოვიგეთ კიდეც. ამ გადაწყვეტილებიდან მეორე დღეს ჩემი და ჩემი ძმის კუთვნილ ფართს ცეცხლი გაუჩნდა და ყველაფერი დაიწვა", – აღნიშნა ზაქარია ქინქლაძემ.

13 მარტს ცეცხლი ზაქარია ქინქლაძის ვენახის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა. ცეცხლი ხმელ ხეს გაუჩნდა და ქარის გამო შესაძლებელი იყო, ვენახი მთლიანად დამწვარიყო. ზაქარია ქინქლაძეს საფრთხის შესახებ ტელეფონით დროულად აცნობეს, მეხანძრეების დახმარებით ცეცხლი მალე ჩააქრეს. ერთ-ერთმა თვითმხილველმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ ცეცხლის გაჩენამდე რამდენიმე წუთით ადრე ზაქარია ქინქლაძის ვენახთან ორმა ახალგაზრდამ ჩაიარა, რომლებიც მან ვერ იცნო. „ორმა ბიჭმა ჩაიარა. ვერ ვიცანი, ზუსტად 10-15 წუთში ცეცხლი გაჩნდა. ზაქროს დროულად დავურეკე, თორემ ვენახიც დაიწვებოდა", – აღნიშნა გია ქინქლაძემ.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის გიორგი სიბაშვილის განცხადებით, ბოლო დღეებში ხანძრის შემთხვევები ძალიან გახშირებულია. „ცეცხლმა არ იცის პოზიცია და ოპოზიცია. ხანძრის ძალიან ბევრი შემთხვევაა. საეჭვო შემთხვევებზე გამოძიება იწყება, თუმცა ეს მე არ მეხება", – განაცხადა სიბაშვილმა.

# რატომ დუმს ჯონ ბასი ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე?

თამარ ნინიძე

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის კავკასიური ტურნეს ფორმატში საქართველოში ვიზიტი პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანი კარგა ხანს იქნება.**

მიხეილ სააკაშვილმა ამჯერად კლინტონი ბათუმში მიიღო და ქალაქი დაათვალიერებინა. პროტოკოლის მიხედვით ჰილარი კლინტონი ოპოზიციასაც უნდა შეხვედროდა.

პროტოკოლით გათვალისწინებულია, რომ უმაღლესი რანგის ვიზიტებს ამზადებს, ერთი მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და, მეორე მხრივ, იმ ქვეყნის საელჩო, რომლის მაღალჩინოსანი ჩამოდის. ბოლო დროს ამერიკის ელჩის მიერ ხდება შერჩევით ოპოზიციის წარდგენა უმაღლესი პირებისთვის. ფაქტია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ამერიკის საელჩო თბილისში ერთ-ერთი გავლენიანია, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში – ამერიკის ცხოველ ინტერესზე საქართველოს მიმართ. ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა მშვენივრად იცის, ვინ რითი სუნთქავს, რომელ პარტიას რა მსოფლმხედველობა და პოზიცია აქვს, როგორია მისი საგარეო კურსი და ორიენტირები. საელჩოს პირდაპირ მოვალეობაში შედის, იცოდეს კონკრეტული ქვეყნის საზოგადოება, პოლიტიკური ელიტა და ადამიანები როგორ აზროვნებენ, რა მოთხოვნები აქვთ და რა არის მათი ყოველდღიური საზრუნავი.

საქმე ისაა, რომ ქალბატონი კლინტონის შეხვედრა ოპოზიციასთან შეირჩა უშუალოდ ჯონ ბასის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციებით, ბასს შეეძლო, ოპოზიციის მთელი სპექტრი თუ არა, რამდენიმე გამორჩეული ლიდერი მაინც შეეხვედრებინა კლინტონისთვის. ამ შეხვედრას არ დაასწრეს ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე. საქმე ის კი არ არის, რომ ეს სააკაშვილს გაალიზიანებდა, არამედ ის, რომ ჯონ ბასმა ამერიკის მთავარ დემოკრატიულ ღირებულებებსა და დოქტრინას, ფაქტობრივად, გვერდი აუარა. მან საკუთარი შეხედულებით კლინტონს დაახვედრა მხოლოდ პროდასავლური კურსის მქონე პარტიებისა და გაერთიანების ლიდერები. ბასს, ეტყობა, არ ახსოვს, რას აცხადებდა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა. თალიბებსაც კი აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ეს ფრაზა შემთხვევით არ გაგვახსენდა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისა და საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობის უფლება ისევე აქვთ კუკავას, ბურჯანაძეს, ნათელაშვილს, როგორც უსუფაშვილს, გამყრელიძესა და ივანიშვილს, მიუხედავად იმისა, როგორია მათი პოლიტიკური შეხედულებები, ორიენტაცია.

ასეთი ღიად დაფიქსირებული შერჩევითობის პრინციპი ოპოზიციის მიმართ ბასის მხრიდან, რბილად რომ ითქვას, სასაცილოა, ხოლო მეორე მხრივ – საეჭვო. რა ინტერესებს ემსახურება ბასის მიერ არჩეული ეს პოლიტიკა? ამერიკელი დიპლომატები და სხვა რანგის სტუმრები როცა ჩამოდიან და ხვდებიან საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, უხერხულ მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ ამერიკის საელჩოს კარგ და ცუდ ოპოზიციონერებად აქვს დაყოფილი ოპოზიციური ფლანგი. არიან რადიკალები, პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები, დასავლური და ამერიკული ორიენტაციის ოპოზიციონერები. ოპოზიცია ოპოზიციაა, ზოგს ამერიკა მოსწონს, ზოგს – გერმანია და ზოგს – რუსეთი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ოპოზიცია არსებობს სააკაშვილის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად და ხშირად სწორედ ე.წ. რადიკალებად ბასის მიერ დაყოფილ ოპოზიციონერებს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების უკანონობაზე, ვიდრე საპარლამენტო ოპოზიციას, რომელიც ნაზად და ჰაეროვნად



აპროტესტებს ხოლმე გარკვეულ საკითხებს. ე.წ. რადიკალებს შეუძლიათ ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებისთვის ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მედიის მდგომარეობაზე, სასამართლოში არსებულ ვითარებაზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკის საელჩო საქართველოში თავს სჭრის მსოფლიოში დემოკრატიის შუქურას, ამერიკას, ამ დროს კი ობამა თალიბების არჩევნებში მონაწილეობაზე საუბრობს. გამოდის, რომ ბასი საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის პოზიციას ანგარიშს არ უწევს. ეს ნონსენსია. სხვათა შორის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველეს ვიზიტის დროს საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გერმანიის ელჩზე გავლენის მოხდენა და გერმანიის პირველმა დიპლომატმა ე.წ. რადიკალი ოპოზიციონერების მიღების სურვილიც გამოთქვა. მოსაწვევებიც გაიგზავნა. ბასს არ გახსენებია, რომ საქართველოში ოპოზიცია არ არის მხოლოდ ისეთი, რომელიც მოსწონს, მაგალითად, სააკაშვილს, რომელიც პარლამენტშია. ამერიკა თუ ანგარიშს უწევს თალიბებს და მათ პოლიტიკურ აქტიურობაზე არის განცხადებები, ექსტრემისტი არც ნათელაშვილია, არც ბურჯანაძე, არც კუკავა.

შალვა ნათელაშვილი, მოგვწონს ვინმეს თუ არა მისი შეხედულებები, არჩევნებში იგებდა და სრული უფლება აქვს, უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს შეხვდეს სხვა ოპოზიციონერებთან ერთად. წესით, ამერიკის საელჩოს მოთხოვნა უნდა ყოფილიყო, რომ კლინტონს მოესმინა ბურჯანაძისთვისაც და ნათელაშვილისთვისაც. ეს იქნებოდა კრიტიკული შეხვედრა, მაგრამ აქ არ დაირღვეოდა დემოკრატიის პრინციპი. ეს ან არაპროფესიონალიზმია, ან გააზრებული იგნორირება საქართველოში პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილისა. რასაც სააკაშვილი აკეთებს, სხვა ქვეყნის ელჩმა იგივე არ უნდა გააკეთოს და, თუ არ გაიზიარებს ამა თუ იმ პოზიციას, მოისმინოს ან მოასმენინოს ამერიკის ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანეს ფიგურებს. თეთრმა სახლმა უნდა იცოდეს, ვარდების რევოლუციიდან რვა წლის შემდეგ რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ, რათა მიუთითოს მას დემოკრატიული მოღვაწეობის შესახებ. ბასი კი ოპოზიციის ერთ ნაწილს პირდაპირ უმალავს კლინტონს. ეს უფრო სხვა ტიპის პოლიტიკაა და სხვა რამესთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში ამის შესახებ სრული წარმოდგენა ამერიკის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს. არის თუ არა ეს ბასის ინდივიდუალური მოქმედება და რა ინტერესი ამოძრავებს ელჩს, ეს უნდა იყოს კვლევის თემა, თუ ეს საერთოდ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი პოლიტიკა არ არის.

ბასის მიმართ ვერ ვიტყვით, რომ არ იცის დიპლომატია, მაშინ რჩება მხოლოდ ის ეჭვი, რომ ის სააკაშვილთან შეთანხმებულად მოქმედებს და ამ დროს ამერიკის დემოკრატიის ღირებულებებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ანგარიშს არ უწევს. უვიცობისა და მოუმზადებლობის შემთხვევაში ეს იქნებოდა სასაცილო, მაგრამ, თუ ეს შეგნებული პოლიტიკაა, ეს პოლიტიკა საქართველოს კარგს არაფერს უქადის. ბასის მიერ ოპოზიციის ერთი ნაწილის იგნორირებით ამერიკის ელჩი სააკაშვილს ხელს უწყობს და მწვანე შუქს უნთებს რეპრესიების ახალი ტალღის აგორებაში. საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის რადიკალებად და ლიბერალებად დაყოფა კი ხელოვნურად ხლეჩს ამ საზოგადოებას და დაპირისპირების გაღრმავებას უწყობს ხელს.

მოსკოვში ბოლო დროს ოპოზიციის ლიდერების მიმართ განხორციელებული უკანონო ჩხრეკის გამო ამერიკის ადმინისტრაციის რეაქცია ძალიან მწვავე იყო. ამ დროს საქართველოში ყველამ ვიცით, რომ ხელისუფლება მხოლოდ ბინების ჩხრეკით არ კმაყოფილდება და რეპრესიების შედეგად ასობით პატიმარი გვყავს სააკაშვილის ხელისუფლების უსაზღვრო ფანტაზიების შედეგად მოგონილი ბრალდებებით. ამაზე არანაირი კომენტარი არ კეთდება. ამით ამერიკა საქართველოში ოპოზიციური ლიდერების პოლიტიკურ მკვლელობებს უწყობს ხელს. ამის მცდელობა იყო ბურჯანაძის მიმართ, მაგრამ ეს ვერ განახორციელა სააკაშვილმა იმის გამო, რომ ბურჯანაძეს აქვს კონტაქტები ევროპასა და ამერიკაში და შეუძლია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანოს სათქმელი, ხოლო იმავე სარიშვილის შემთხვევაში ეს განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობაა. სააკაშვილი ამერიკის ელჩის დუმილის ფონზე ცდილობს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ დასამარებას. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და ამაზე დღეს სამოქალაქო სექტორიც საუბრობს. ამერიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამოქალაქო სექტორის საქმიანობას ხელს უწყობს, რუსეთში პუტინმა ამერიკის საელჩოს პირდაპირ დააბრალა სამოქალაქო სექტორის საქმიანობის ხელშეწყობა. ქართველი არასამთავრობოები მედიის მდგომარეობაზე, სასამართლოზე, ადამიანის უფლებებზე, პატიმრების სიკვდილიანობაზე საუბრობენ, ამერიკის საელჩო კი დუმს.

ამერიკის ელჩმა ღიად გააკრიტიკა გასული წლის მაისის აქციების ორგანიზატორები, რასაც მერე სააკაშვილის სისხლიანი სპეცოპერაცია მოჰყვა, ამერიკის საელჩო არ რეაგირებს იმაზე, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ ხელისუფლება რეპრესიებს მიმართავს. ორი წლის წინ, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, სპეცრაზმი „ჯეოსელისა“ და „მაგთის“ ოფისებში შევარდა. „მაგთის“ მფლობელებისგან ხელისუფლება 270 მილიონს ითხოვდა. ბასის ჩარევისა და სატელეფონო ზარის შემდეგ ოც წუთში სპეცრაზმი ოფისიდან გავიდა. არის თუ არა ეს ორმაგი სტანდარტებით მოქმედება და დემოკრატიის აკვანი – ამერიკა – დემოკრატიის არსებობას საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ აყენებს? საქართველოს კონტროლის პალატა რომ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გავიდა და პოლიტიკოსების დევნის ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, არც ეს არის ხმაურის ატეხის საბაბი?

ანტიამერიკული განწყობა ქვეყანაში შემაშფოთებლად გაზრდილია. მეორე უკიდურესობაა ის, რომ იზრდება პრორუსული განწყობები. რეალური სურათი რომ დაიდოს, რატომ ხდება ეს, ადმინისტრაცია ბასის მოღვაწეობით კმაყოფილი ნამდვილად არ დარჩება.

ამ ვითარებაში ქვეყანაში სამოქალაქო ომის საფრთხე იზრდება. ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს დიქტატორს ეძახიან ამერიკაში, სააკაშვილს კი – არა. ბოლო ერთი წლის მანძილზე გაურკვეველ ვითარებაში 146 პატიმარია გარდაცვლილი. ოცდაათი შემთხვევაა ბოლო პერიოდში ჟურნალისტებზე თავდასხმისა. არც ერთზე არ არის გამოძიება დაწყებული. ჟურნალისტ ია თინიკაშვილის მანქანას ტყვიები ესროლეს. ვის აქვს დღეს იარაღი საქართველოში? – მხოლოდ ხელისუფლებას. „გლობალ ტივის“ აუკრძალეს ანტენების გავრცელება საქართველოში, როცა ალტერნატიული აზრის მოსმენის საშუალება უნდა ყოფილიყო. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში უკვე გაყალბდა არჩევნები. სამოქალაქო ომი ქვეყანაში გაყალბებული არჩევნების შედეგად შეიძლება დაიწყოს და პროცესებს ვერც ოპოზიცია გააკონტროლებს, ვერც ამერიკის საელჩო. ხალხმა თუ იფეთქა, ამ ტალღას ივანიშვილიც კი ვერ მოერევა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული მედია კონტროლირებადია. ალტერნატიულ აზრზე საუბარიც კი არ არის.

მეზობელ ქვეყნებში დაძაბულობაა. სომხეთი და აზერბაიჯანი ახალი ომის დაწყების საშიშროების წინაშე დგანან. მაგრამ, საქართველო რომ აირიოს და აქ, ღმერთმა არ ქნას, სამოქალაქო ომი დაიწყოს, ევროპასა და ამერიკას მოედება და გლობალური ომის საფრთხეს წარმოქმნის. სერიოზული დიქტატურა ყალიბდება და სულ უფრო ხშირად გამოითქმის ვარაუდები არაბული გაზაფხულის ანალოგებზე კავკასიაში.

ამიტომ ამერიკის საელჩოს, ელჩს ჯონ ბასსა და ევროპის სხვა ქვეყნების დიპლომატებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. ქვეყანა წინასაარჩევნო მდგომარეობაშია და აქ მნიშვნელობა ყოველ სიტყვას ექნება. ხელისუფლება ზღვარს გადავიდა!

## ეგვიპტეში კვლავ რევოლუციური ვითარებაა

ეგვიპტეში 16 და 17 ივნისს გასამართი საპრეზიდენტო არჩევების მეორე ტურის წინ რევოლუციური ვითარებაა.

არჩევნებში ერთმანეთს პარტია „ძმები მუსულმანების“ ლიდერი მუჰამედ მუსრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი აჰმად შაფიკუ უპირისპირდებიან.

მუჰამედ მუსრიმ ეგვიპტელებს გაერთიანებისა და გაყალბების მცდელობის ნებისმიერი მცდელობის აღკვეთისკენ მოუწოდა.

– მზად ვარ ეგვიპტელებთან ერთად მსხვერპლად მივიტანო საკუთარი თავი, რათა დავიცვა ჩვენი ხალხის თავისუფლება, – განაცხადა მუჰამედ მუსრიმ და დასძინა, – „რევოლუცია იყო, არის და იქნება. ჩვენ ერთი გზა გვაქვს – რევოლუციური მოძრაობის და გარდამავალი პერიოდის დასრულება, სამხედროების მიერ ხელისუფლების სამოქალაქო მთავრობისთვის გადაცემით.

მუჰამედ მუსრიმ ეგვიპტის სასამართლოს გადაწვეტილების კომენტირებისას განაცხადა, რომ ხალხის ნება ყველა კანონზე მაღლა დგას.

ეგვიპტის პარტია „ძმები მუსულმანების“ მომხრეები აცხადებენ, რომ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო ეგვიპტის „მყიფე დემოკრატია“ საფრთხის ქვეშ დგას.

შეგახსენებთ, რომ სასამართლოს მიერ ქვეყანაში გამართული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობამ და ქვედა პალატის დაშლის მოთხოვნამ „ძმები მუსულმანების“ მომხრეებში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

მათი თქმით, თუ ქვეყანაში ხელისუფლება დაბრუნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც დამხობილ პრეზიდენტ, ჰოსნი მუბარაქს, უკავშირდებიან, ქვეყანას „საშიში დღეები“ ელოდება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ეგვიპტეში გამართული პირველი თავისუფალი არჩევნების შედეგად, დეპუტატების მესამედმა პარლამენტში ადგილები უკანონოდ მოიპოვა, ამის გამო კი ქვედა პალატა დათხოვნილ უნდა იქნას.

ამ გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, ქვეყანაში ხელისუფლება კვლავ შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს დაუბრუნდება.

სასამართლომ ასევე კანონიერად ცნო ექს-პრემიერის აჰმედ შაფიკის უფლება კენჭი იყაროს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე.

სამოქალაქო აქტივისტები ვარაუდობენ, რომ სამხედროები ქვეყნის ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობენ და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დარტყმას უწოდებენ. როგორც აღნიშავენ, ბევრი ადამიანი ვარაუდობდა, რომ სასამართლო არჩევნებს უკანონოდ სცნობდა, თუმცა არავინ იფიქრებდა რომ ახალი არჩევნების ჩატარება გახდებოდა აუცილებელი.

„ძმებმა მუსლიმებმა“ ხმის მიცემის შემდეგ საპარლამენტო ადგილების 46 %-ს დაეუფლნენ.

– სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს რომ ეგვიპტეს რთული დღეები უახლოვდება, რომელიც შეიძლება იმაზე საშინელი იყოს, ვიდრე მუბარაქის მმართველობის ბოლო წლები იყო. რევოლუციის ყველა მიღწევა შესაძლოა მთლიანად განადგურდეს, – აღნიშნავენ „ძმები მუსლიმები“.

მოჰამედ მურსი აცხადებს, რომ უკმაყოფილოა სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუმცა იღებს ამ გადაწყვეტილებას. ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ქვეყანისათვის გარდამტეხი მომენტი დადგა.

ეგვიპტის ზოგიერთი პოლიტიკოსი უკმაყოფილებას გამოთქვამს მიღებული გადაწყვეტილების გამო და აღნიშნავს რომ ეს ახლადარჩეულ პრეზიდენტს კონსტიტუციისა და პარლამენტის გარეშე სტოვებს. მიღებულ გადაწყვეტილებას ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყანა მიუხედავად ყველაფრისა დემოკრატიული გზით განაგრძობს სვლას.

გერა მამულაშვილი

# აკაკი ასათიანი: საქართველოში ლიბიის სცენარი არ განმეორდება“

ნონა ცაბაძე

**ასეთი რეალური ოპოზიციის ძალა და გამარჯვების შანსი დიდი ხანია საქართველოში არ ყოფილა, _ აცხადებს 'ახალ თაობასთან~ ინტერვიუში აკაკი ასათიანი.**

**აკაკი ასათიანი:**

— ამას ბევრი მიზეზი აქვს. იგივე შიდა სახელისუფლო რესურსის და ნდობის ამოწურვა. სულ რომ ანგელოზების ხელისუფლება იყოს, ათი წლის მერე მისი საკითხიც კი დგება, იმიტომ, რომ მოსაწყენი ხდება. მით უმეტეს, ამ ხელისუფლებას ბევრი გადაუჭრელი საკითხი დაუგროვდა, უფრო მეტიც, ქვეყანას კიდევ ბევრი პრობლემა დაამატა. მეორე მხრივ, გაჩნდა ისეთი ალტერნატივა ივანიშვილის სახით, პრაქტიკულად განუსაზღვრელი ფინანსური რესურსებით, დიდი გაერთიანებით და ხალხში მანამდეც არსებული კეთილგანწყობით. დასავლეთის განწყობაც იცით თქვენ, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ნორმალური არჩევნები. სააკაშვილი რომ პრეზიდენტი ვერ იქნება და ზოგადად არ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში, ამაზეც ღიად ლაპარაკობენ დასავლელი პარტნიორები. ყველაფერი ეს კი ქმნის განსაკუთრებულ სიტუაციას, როცა ძალიან რეალური ხდება ხელისუფლების ცვლილება.

***— ბევრი იმასაც ამბობს კლინტონმა მხარი სააკაშვილს დაუჭირაო...***

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. პირადად მე ეს არც დამინახავს და არც მომისმენია მის გამოსვლაში. ჩემთვის ყველაზე ნიშანდობლივი იყო, მაგალითად, ის, რომ როდესაც ქართველმა ჟურნალისტმა ჰკითხა რუსეთის მანევრირების თაობაზე, წესით, იქ უნდა ყოფილიყო ყველაზე ხისტი პოზიცია და იქ თქვა მარტივად, რუსეთს თავი დაანებეთ და არჩევნები ჩაატარეთ ნორმალურად და ეგ არის თქვენი ყველაზე კარგი თავდაცვაო. ამას ვამბობ მეც ოცი წელია. ქვეყნის შიგნით სიტუაციის მოწესრიგება, დემოკრატიული ვითარება ქვეყანაში, იგივე სოციალური ფონის გაუმჯობესება, ყოველგვარ თავდაცვით ღონისძიებებზე უკეთესი იქნება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სხვა მხრივ რამე განსაკუთრებული მე კლინტონისგან არ მომისმენია. იცით რა, ასე, გაცილებისას უფრო აქებენ ადამიანებს. ჩვენც დავეთანხმებოდით ნაწილობრივ, რაღაც-რაღაცები გაკეთდა. უბრალოდ, ხელისუფლება არ არის სარემონტო კანტორა, რომ გზები შეაკეთოს, კი ბატონო, დენი გვაქვს, წესრიგი დამყარდა... ეს არის ის მინიმუმი, რაც უნდა უზრუნველყოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ ნებისმიერ ცივილიზებულობის პრეტენზიის მქონე ქვეყანაში. ამის შემდეგ ველარ იდგმება ერთი მილიმეტრითაც კი ნაბიჯი ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, თუნდაც იგივე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგმულა. რაც მთავარია, არც ის ჩანს, ვთქვათ, კიდევ დარჩა ეს ხელისუფლება, რომ ამ მიმართულებით რაიმე პროგრესი იქნება, ესეც არ ჩანს. ვითარება საკმაოდ სერიოზულია. ძალიან სერიოზული ძალა ჩამოყალიბდა.

***— თუმცა, ხელისუფლება უკან არ იხევს და არ სურს პოზიციების დათმობა...***

— რატომ ეგონა ვინმეს, რომ ხელისუფლება დათმობს ან უკან დაიხევს? ჩვენთან მიეცა ეს სახე დათმობს — არ დათმობს. მაგას არავინ სთხოვს, უნდა ჩაატაროს ნორმალური არჩევნები! მე კიდევ ვიტოვებ იმედს, რომ ახალგაზრდა ხალხია და პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელების შანსს დაიტოვებენ. ბოლოს და ბოლოს თუ დარწმუნებულები არიან არჩევნებში გაიმარჯვებენ, ამ გამოკითხვებს რომ აქვეყნებენ და ის შედეგები რეალური ჰგონიათ, მაშინ რა პრობლემაა? თუ იციან, რომ ეს არ არის რეალური, მით უმეტეს, უნდა გაუწიონ ანგარიში რეალურად არსებულ ვითარებას. რაც ქვეყანას აძლევს წინსვლის შანს, მშვიდობიანი და პროგრესულად განვითარების შანსს, ხოლო მათ აძლევს შანს, კიდევ გააგრძელონ პოლიტიკური საქმიანობა ქვეყანაში. პიროვნულადაც თითოეულ მათგანს აძლევს შანს, იმოქმედონ, რაღაცა საქმიანობას ეწეოდნენ, პოლიტიკური იქნება ეს თუ სხვა სახის. იმდენად მარტივი და ცხადია ეს ყველაფერი, რომ ამაზე არც უნდა იყოს საუბარი, დათმობენ, არ დათმობენ, მიიყვანენ სიტუაციას სისხლისღვრამდე... წესით, ამ თაობის ადამიანებს ეს უნდა ესმოდეთ, ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ ახალგაზრდაა და ხომ უნდათ ცხოვრების და მოღვაწეობის გაგრძელება ამ ქვეყანაში?

***— მტკივნეული თემაა მათთვის ამ საკითხზე საუბარი, რომ შესაძლოა ველარ იყვნენ ხელისუფლებაში...***

— მართალი ბრძანდებით. ველარ წარმოუდგენიათ, ძალიან დიდხანს იყვნენ და ფსიქოლოგიურად ეს მომენტი ნამდვილად აქვთ. მაგრამ ხომ უნდა გაიგონ, რომ ამ ქვეყანაზე მარადიული არაფრია, როდემდე იქნებიან?



***— ბოლო პერიოდია კეთდება შეფასებები, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირების ჭრილში გადაიტანოს პროცესებიო. თქვენი აზრით, რამდენად არის ამის საშიშროება?***

— რაღაცა დოზით არის ამის საფრთხე, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ხელისუფლება წააგებს ამას. რა გითხრათ, თუ გაგიჟდებიან, თორემ ამაზე არ უნდა წავიდნენ. ეს არის გარანტირებული კატასტროფა ხელისუფლების და ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული პრობლემა ნებისმიერ შემთხვევაში. ამას ვერავინ ვერ იგებს. ჩვენ ვნახეთ ერთხელ ეს და ვერავინ ამით ვერ მოიგო. რომ გავიხსენოთ გამსახურდიას პერიოდი და ჩვენი ხელისუფლების დამხობა, ჯერ ერთი, რომ ხელისუფლება დაემხო და ვინც დაამხო, იმათი ბედიც გვახსოვს. რამე ბედს ეწივნენ ისინი ამის შედეგად? ეს ასე არ ხდება და ჩვენი ქვეყანა დღემდე იმკის მაშინდელ შედეგებს, ესეც ხომ ფაქტია.

***— ამ შემთხვევაში კადაფიზაცია ელოდება სააკაშვილს?***

— ღმერთმა ნუ ქნას ის ველურობა, რაც ორივე მხარემ გამოიჩინა ლიბიაში. მე ბევრად უკეთესი აზრისა ვარ ჩვენს ხალხზე.

***— ჩვენ ვხედავთ, როგორი მეთოდებით ებრძვის ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს, ამხელა ჯარიმები... ამის თაობაზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— საუბარი რომ არ იყოს 150 მილიონზე, სასაცილო იქნებოდა ეს ყველაფერი. საქმე ის კი არ არის, რომ რადგან კაცს ექვსი მილიარდი აქვს, შენ 150 მილიონი უნდა წაართვა. 150 თეთრიც რომ იყოს უსამართლოდ, ისიც კი გასაპროტესტებელია. აბსოლუტურად ცხადია, რომ აქ არის ყურით მოთრეული ბრალდებები. მე არ ვიცი ეს რა სტრატეგიაა, ფულის შოვნის ასეთი მეთოდი აქვთ თუ ივანიშვილისთვის ფულის დაკლების, რომ მას სახსრები არ ჰქონდეს თავისუფალი საქმიანობისთვის. რა არის იცით, აქ მარტო ფულის ფაქტორი აღარ არის, ეს უკვე გადაიზარდა რეალურ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. რაც უფრო უსამართლოდ მოექცევიან ივანიშვილს, ეს უფრო მეტად გაზრდის მხარდაჭერას მისდამი. ეს ხომ ყველას გვინახავს? ეს მათაც უნახავთ, როცა თვითონ ებრძოდნენ, საიდანაც გამოეყვნენ, იმ ხელისუფლებას. ყველას ახსოვს, ნებისმიერი უსამართლო ნაბიჯი, რომელიც ადვილად იშიფრებოდა საჯაროდ, იწვევდა სოლიდარობას და მხარდაჭერას. უცნაურია, როცა ადამიანს თვითონ არ აქვს ეს გზა გავლილი, მან უნდა წაიკითხოს და ისწავლოს და როცა თვითონ აქვთ გავლილი ეს გზა და გონება ეკეტებათ და აღარ ითვალისწინებენ იმას, რისი მონაწილეც თვითონ იყვნენ, სწორედ ეს არის გასაკვირი. მე დიდი იმედი არა მაქვს ამისი, მაგრამ მაინც ვიტოვებ ხელისუფლების გამოფხიზლების იმედს.

***— თქვენ რას აპირებთ ამ არჩევნებზე, ბატონო აკაკი?***

— ჩვენ და თავისუფალი საქართველო ვგეგმავთ თანამშრომლობას, კიდევ არის გარკვეული ძალები, რომლებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. გარდა ამ დაპირისპირებებისა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ნამდვილი ალტერნატიული ძალის ჩამოყალიბება. ვთქვათ, ეს იქნება საჯარო პოლიტიკა, ეს გაუთავებელი ილუზია იგივე ნატოსთან დაკავშირებით, ყველამ იცის, ყველას ესმის, რომ ამ პრობლემებით ვერ მიგვიღებს ნატო. ეს გამორიცხულია და ამ ილუზიის დევნამ ჩვენ ძალიან სერიოზულად დაგვაზარალა. უნდა ითქვას მკაფიოდ, იგივე ნატოსთანაც, რომ თუ კარი ღიაა და გველოდებიან, სად არის ეს კარი? როდის გველოდებიან? რუსეთთან უნდა დაისვას საკითხი, ვთქვათ ნეიტრალიტეტი არის საფასური, უხეშად ვთქვათ პირდაპირ, ტერიტორიული მთლიანობის რუსეთიდან ხელის შეწყობისა. მით უმეტეს, რომ ყველა დასავლელი პარტნიორი, შეერთებული შტატებიც გვეუბნება, რომ ამის გასაღები მოსკოვშია. ამას პირდაპირ გვეუბნებიან. ყველა გულისხმობს, რომ ნატოსთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციას ანგარიშს უწევენ, რომ ტერიტორიული პრობლემებით არავინ მიგვიღებს. არის ეკონომიკური პრობლემა, დაკარგულია ამხელა ბაზარი, სხვა ამის მეათედი ბაზარიც კი არ ჩანს, ესეც ხომ ფაქტია? ამიტომ, ვიღაცამ ეს უნდა თქვას. ეს ყველამ იცის, მაგრამ რატომღაც კეკლუცობენ. დღეს კეკლუცობის დრო არ არის, სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ. აი, ნიშანდობლივია სერბია, რომელიც ჩვენი მოკავშირე იყო ტერიტორიებთან დაკავშირებით და ამ ხელისუფლებამაც კი ვერ გაბედა გაეროში სერბიის წინააღმდეგ ხმა მიეცა, როცა კოსოვოს აღიარების საკითხი დადგა. დღეს სერბები აყენებენ საკითხს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობის შესახებ. ხომ ვხედავთ, უარესდება მდგომარეობა. ეს ერთი მაგალითი მომყავს და რატომღაც ჩვენთან ყველა გვერდს უვლის ამ თემებს. ყველა ერთმანეთს ეჯიბრება და გაიძახის, შევალთ ნატოში, ინტეგრირება დასავლეთში, რუსეთთან სიტუაციის დალაგება... ზოგი პრობლემის მოგვარებას ამბობს, ზოგი რას... კონკრეტულად არავინ საუბრობს ამ თემებზე თუ რა და როგორ იქნება. დღეს ქართულ პოლიტიკაში მთავარ თემად არის ქცეული მოსყიდვა და არმოსყიდვა. როცა ორი დაპირისპირებული ძალაა ქვეყანაში, ამ დროს უნდა არსებობდეს სხვა ძალაც ალტერნატიული თვალსაზრისით, როცა ორი დაპირისპირებული ძალა პრაქტიკულად ერთი და იმავე პროგრამით არის წარმოდგენილი.

***— იმის იმედი ნაკლებად აქვს საზოგადოებას, რომ თავისით შეიგნებს და მიხვდება ეს ხელისუფლება, რომ მისი წასვლის დრო მოვიდა...***

— სიმართლე რომ გითხრათ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი-თქო მოგატყუებთ. დიდი იმედი არც მე მაქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა ხალხია და რაციონალურად იაზროვნებენ.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში?***

— მაშინ მართლა ვერ ავცდებით დაპირისპირებას. ეს აშკარაა და არ ვიცი, მერე რა სახეს მიიღებს ეს დაპირისპირება. დღეს დუღს პროცესები, საზოგადოების განწყობა ყველასთვის ცნობილია და ვერავის ვერ დააჯერებ იმას, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 65 ან 70% აიღო. ამას არავინ დაიჯერებს, არც შიგნით და არც გარეთ.

***— მძიმე შემოდგომა გველის?***

— მძიმე რატომ, რთული. თუ სწორად ვიმოქმედებთ და პასუხისმგებლობით ყველანი, იქნება მაღალი სოლიდარობა, საზოგადოება თუ კარგად გააცნობიერებს იმ საფრთხეებს, რის წინაშეც დგას, მე ვფიქრობ, შანსი საკმაოდ სერიოზული არსებობს იმისი, რომ მშვიდობიანად გადავიტანოთ ეს პერიოდი და შემდეგ წინ ვიაროთ. არის ამის შანსი, ნამდვილად არის. არ არის ხოლმე ასე განპირობებული, რომ ზუსტად ასე უნდა მოხდეს, ის ხდება ხოლმე იმდენად, რამდენადაც მონაწილენი სწორად მოქმედებენ, ან არასწორად. ვნახოთ, მე მაინც იმედიანად ვარ.

## ბაშარ ასადმა მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა?

სირიის ოპოზიციონერთა ინფორმაციით, დაახლოებით 70-მდეა ადამიანია დაღუპული ხელისუფლების რაზმების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, დამასკოს ახლოს მდებარე სოფელში. ამავე დროს ხელისუფლების მხარე 22 ჯარისკაცის გარდაცვალების შესახებ იუწყება.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, გავრცელდა ქალაქ ჰიტსა და პროვინცია დეარაში გარდაცვლილი მოქალაქეების ვიდეო მასალა, რომელზეც ნათლად ჩანს დამწვრობის კვალი, რომელიც ქიმიური იარაღით მიყენებული დამწვრობის კვალს ჰგავს.

თავის მხრივ, ახლო აღმოსავლეთის „ბი-ბი-სის“ ბიუროს დირექტორის პოლ დანახარის აზრით, მსოფლიო საკმაოდ დიდხანს უყურებდა სირიის კონფლიქტს პრიზმაში, ვარაუდობდა, რომ „არაბული გაზაფხულის“ დომინოს პრინციპის მსგავსად, ქვეყანაშიც ხელისუფლება ძალაუფლებას ოპოზიციას გადააბარებდა, თუმცა სირიაში ასე არ ხდება.

ბაშირ ასადის ხელისუფლება ცდილობს ალავიტები— სირიის მმართველი ელიტა დაარწმუნოს, რომ ქვეყანაში არა სირიული რევოლუცია, არამედ სუნიტების აჯანყებაა, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა ჩაიხშოს.

ალავიტებს კი შიში აქვთ, რომ სუნიტების გამარჯვების შემთხვევაში, ისინი პრივილეგიებს დაკარგავენ. სირიის კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, სწორედ სუნიტებისა და ალავიტების რელიგიური დაპირისპირებაა, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ სხვა ქვეყნების რევოლუციებისგან განასხვავებს სირიას.

— სირიელთა დიდი ნაწილი, ვისაც მე პირადად ვესაუბრე, აცხადებს რომ სწორედ ამიტომაც შეიქმნა ასადის სამხედრო განაყოფი „შაბიხა“. მისი წევრები სუნიტებს ხოცავენ, რათა ქვეყანაში რელიგიური შუღლი ააგორონ, — აცხადებს დანახარი.

ექსპერტის აზრით, კონფესიური კონფლიქტის დროს, სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა ძალიან ძვირი ჯდება. „ერაყში გამარჯვების შემდეგ ამერიკელები შეეცადნენ ქვეყანაში ბასისტების რეჟიმის კვალი წაეშალათ, თუმცა ყველაფერი კატასტროფით დამთავრდა. თუ საზოგადოებას სურს სისხლი თავიდან აიცილოს, მაშინ სამართლიანობისთვის ბრძოლას ცოტა ხნით შეკავება მოუწევს.

სირიის ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და განუცხადოს ალავიტებსაც და თავის მოწინააღმდეგეებსაც, რომ ეს არის ბრძოლა სამართლიანობისთვის, ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ და არა რელიგიური შუღლი, რომლის გაღვივებასაც „შაბიხა“ ცდილობს.

სწორედ ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია გაერო-ს როლი ამ კონფლიქტში, მხოლოდ ამ ორგანიზაცია შეუძლია კონფლიქტებზე ზეგავლენა მოახდინოს.

ძალიან ბევრი რამ, რაზეც ოპოზიციის აქტივისტები საუბრობენ, ფაქტებს ემყარება, თუმცა არა ყველაფერი. მახსენდება ერთი დიპლომატის სიტყვები: „ეს პროპაგანდისტული ომია და არავისი ნდობა არ შეიძლება, — აღნიშნავს ახლო აღმოსავლეთის „ბი-ბი-სის“ ბიუროს დირექტორი.

სირიაში გასული წლის მარტიდან, ხელისუფლების რაზმებსა და ოპოზიციონერების სამხედრო დაპირისპირების შედეგად 12 000-მდე ადამიანია გარდაცვლილი.

## ბულგარეთში ვამპირის ჩონჩხი აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა ბულგარეთში შუა საუკუნეების ორი ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომლებსაც მკერდი რკინის საგნით ჰქონდათ გახვრეტილი, სავარაუდოდ, იმისთვის, რომ მათი ვამპირად გადაქცევა შეეჩერებინათ.

ისტორიკოსები ამბობენ, რომ ასეთი წარმართული რიტუალი ზოგიერთ სოფელში გასულ საუკუნემდე ტარდებოდა.

რიტუალი საფლავში ცხედრის რკინის საგნით ჩამაგრებას გულისხმობდა, რათა მათ ადამიანებზე თავდასასხმელად ადგილები არ დაეტოვებინათ.

ბულგარეთში ასი „ვამპირის“ ჩონჩხის საფლავია აღმოჩენილი. ბალკანურმა მითებმა, ბრემ სტოკერს საშინელებათა ჟანრის ნოველა „დრაკულა“ დააწერინა, რომელიც პირველად 1897 წელს გამოქვეყნდა და მას შემდეგ რამდენიმე ფილმის სიუჟეტის საფუძველიც გახდა.

ცნობისთვის, ვამპირები — მითოლოგიური ან ფოლკლორული არსებები. ხშირად, გამოცოცხლებული ადამიანის ცხედრები, რომლებიც ადამიანისა და/ან ცხოველის სისხლით იკვებებიან. ამას გარდა, ვამპირები ხშირად არიან სხვადასხვა მხატვრული ფილმისა თუ ლიტერატურის გმირები. თუმცა, ვამპირები მხატვრულ ლიტერატურაში და მითოლოგიაში ოდნავ განსხვავდებიან. ფოლკლორში ეს ტერმინი, როგორც წესი, დასავლურევროპული ლეგენდების სისხლისმწოველა არსებების მიმართ გამოიყენება, თუმცა ხშირად ვამპირებს მათ მსგავს არსებებსაც უწოდებენ სხვა ქვეყნების კულტურებიდან. ყველა გადმოცემაში ვამპირის დამახასიათებელი თვისებები ძლიერ განსხვავებულია. ზოგიერთ კულტურაში გავრცელებულია ისტორიები არაადამიან ვამპირებზე, მაგალითად ღამურებზე, ძაღლებზე და ობობებზე.

**გერა მამულაშვილი**

# ლალი ბადურაშვილი: იარეთ სპექტაკლზე, მაგრამ არ მიბაძოთ პერსონაჟებს“

ეკა ირემაშვილი

ლალი ბადურაშვილის ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. წლების წინ, სრულიად მოულოდნელად, თავად კონსტანტინე გამსახურდიამ ითხოვა, შორენა კოლონკელიძის როლი ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“ ლალი ბადურაშვილს შეესრულებინა, ახლა კი, როცა უკვე 70 წელს გადააბიჯა, თავისუფალი თეატრის სცენაზეც დადგა და სპექტაკლშიც ითამაშა.

„რვა მოსიყვარულე ქალი“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა მაია ჩართოლანმა რობერტ ტომას პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლში რვა მსახიობი ქალი მონაწილეობს – მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე და ანა მღებრიშვილი. პრემიერაზე ლალი ბადურაშვილის შესაფასებლად თავისუფალ თეატრს ულამაზესი თაიგულით შვილიშვილი ნინი ბადურაშვილი ეწვია და ბებიის მონაცემები თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძესთან ერთად შეაფასა. რა შთაბეჭდილებები დარჩა შვილიშვილს ბებიის სამსახიობო მონაცემებზე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.



**ლალი ბადურაშვილი:**

– ეს ჩემთვის ერთგვარი ექსპერიმენტი იყო. რეჟისორ მაია ჩართოლანით აღფრთოვანებული ვარ. ახალგაზრდა ქალია და მისთვისაც პირველი სპექტაკლი იყო, რადგან თვითონ მსახიობია. სპექტაკლში რვა ქალია, წამყვანი მარინა ჯანაშიაა, დანარჩენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მსახიობები არიან. ორმოქმედებიანი სპექტაკლია და საოცარი მუხტით მიდის წარმოდგენა, ჩართულია მაყურებელი, თან ყველა თაობის მაყურებელი მოდის – ახალგაზრდებიც, მოხუცებიც, მოზარდებიც. ნამუშევარი საინტერესოა, სახეები კარგად არის წარმოჩენილი, სათქმელი მოაქვს რეჟისორს და წარმატებული სპექტაკლია, თუკი იმით ვიმსჯელებთ, როგორ მიდის წარმოდგენა. ყველასგან გაჩნდა სურვილი, რომ სპექტაკლი მეორედ და მესამედაც ნახონ.

***– როგორ გარისკეთ სპექტაკლში მონაწილეობა?***

– ტელეფონზე დამირეკა მაიამ, რომ გამეცნო, ვიფიქრე, ალბათ, ინტერვიუ უნდა-მეთქი. ჩემთვის მოულოდნელი იყო თეატრში დაკავება. უარი არ მითქვამს, მაგრამ თეატრი სხვა რამეა და კინოსგან განსხვავდება, მას თავისი პლასტიკა უნდა, ხმა სჭირდება. რეჟისორმა დამამშვიდა, თავისუფალ თეატრს პატარა დარბაზი აქვს, ხმასთან პრობლემა არ გექნებათ და დანარჩენი უკვე ნაფიქრიაო. რეჟისორს ვუთხარი, მოვალ, ვცდი, თუ ძალიან უსუსური და სასაცილო არ გამოვჩნდი, ვიმუშავოთ-მეთქი. ახალგაზრდა მსახიობებს არ ვიცნობდი, მაგრამ მარინა ჯანაშიას ხომ უდიდესი ადგილი უკავია ქართულ თეატრში, ამიტომ მას ვთხოვე, რაღაცები მიკარნახე-მეთქი. „რვა მოსიყვარულე ქალი“ ფრანგული ფილმია, რომელიც არ მინახავს. მარტო ის ვიცი, რომ მთელი საფრანგეთის ვარსკვლავები არიან დაკავებული – ფანი არდანი, კატრინ დენევი, დანიელ დარიო. დანიელ დარიო თამაშობს კინოში ბებიის როლს, რომელიც თავისუფალ თეატრში მე ვითამაშე. მარინა ჯანაშიამაც შემომთავაზა, იქნებ ფილმი გენახაო, მაგრამ უარი ვთქვი, არ მინდოდა ფილმის გავლენის ქვეშ ვყოფილიყავი. მარინას აზრს ხშირად ვეკითხებოდი, არაფერი გჭირდებაო, მპასუხობდა, თუმცა, რამდენჯერმე მისი კარნახი მაინც დამჭირდა. არანაკლები სტიმული მომცეს ახალგაზრდა მსახიობებმაც. გრძნობდნენ, რომ მე ვიყავი ყველაზე მეტად შეფუცხუნებული და ყველა ცდილობდა რაღაცნაირად გამადვილებოდა. რეჟისორზე საერთოდ არ ვსაუბრობ, ის იჯდა დარბაზში და გამჭოლი მზერით გვაფასებდა. როცა შავი მასალა ჩაიბარა ავთო ვარსიმაშვილმა, რაღაც შენიშვნები გააკეთა, მაგრამ პირდაპირ უთხრა მაიას, ყველა იმდენად კარგია თავის როლში, ბენეფისი მოუწყე მათო. მომიტრიალდა და ასე მითხრა, ცოტა სკეპტიკურად მოვდიოდი, ვიფიქრე, არაპროფესიონალია და არ დაიწყოს მიბაძვა, მაგრამ არაჩვეულებრივად მართალი ხართო და მომილოცა.

***– ფილმი სპექტაკლის მერეც არ ნახეთ?***

– არა, არ მინახავს. სანამ ახალია სპექტაკლი, არ მინდა ფილმის ნახვა, ცოტა ბევრჯერ რომ ვითამაშებთ და ჩემში ეს როლი გაჯდება, ფილმს მერე ვნახავ. მე ჩემი სახე მაინტერესებდა ამ სპექტაკლში. ფილმში ამ როლის შემსრულებელი დანიელ დარიო ნამდვილად ასაკშია, ჩემი პერსონაჟიც ბებიაა, მაგრამ რეჟისორმა შედარებით ახალგაზრდა ბებია გააკეთა, როგორიც ვარ, ცოტა კეკლუცი, თუმცა მატყუარა. სპექტაკლს კი ჰქვია „რვა მოსიყვარულე ქალი“, მაგრამ სინამდვილეში რვა ქვეწარმავალი დასრიალებს ოჯახში. ეს არის ერთი ოჯახის და მათი მოსამსახურეების ცხოვრება, მაგრამ ეს არის ყალბი, ორმაგ თამაშზე აწყობილი ურთიერთობები. ყველაფრის თავი არის ეს ქალი, რადგან მისგან მოდიან შვილებიც და შვილიშვილებიც.

***– უარყოფითი როლები გაინტერესებთ?***

– რა თქმა უნდა, ამ პერსონაჟმა იმიტომაც დამაინტერესა, სულ დადებითი კინო როლების შემდეგ, უკვე ნეგატიური როლი მაინტერესებდა. როცა შემოქმედებითი ჯგუფი ვიჯექით, განვიხილავდით, რამდენად ახლოს იყო ეს სიტუაცია ქართულ რეალობასთან, გავიხსენეთ, რამდენმა და-ძმამ დახოცა ერთმანეთი ბინის გულისთვის, ქონების გაყოფისთვის, ასე რომ, გაუცხოების მომენტი არც ჩვენთვის არის შორს. რეჟისორმაც თქვა, იმიტომ გამიჩნდა ამ სპექტაკლის დადგმის სურვილი, რომ საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოვუწოდოთო. ჩვენ ნათესაობაში და ერთმანეთში გაუცხოების მომენტი არასოდეს გვქონია, პირიქით, თუკი რამემ გადაარჩინა ჩვენი პატარა ქვეყანა და დღევანდელობამდე მოიტანა, ეს ჩვენი ადამიანობა, ოჯახის პატივისცემა და ერთმანეთის სიყვარულია. ომის დროს კაცები სულ იბრძოდნენ და ბავშვებს მამიდები, ბებიები ან დეიდები ზრდიდნენ. დღესაც ხომ მუშაობს ეს ინსტიტუტი, მაგრამ გაუცხოებაც მოვიდა, ეს ყველაფერი სპექტაკლში უფრო მკვეთრად არის წარმოდგენილი. ჩვენ აქეთ არ წავიდეთო, ასეთია რეჟისორის ძახილი.

***– როგორია თქვენი პერსონაჟი?***

– ჩვენი სპექტაკლის გმირები თან საძაგლები არიან და თან საცოდავები, იმიტომ, რომ ყოფა აქვთ ასეთი და თითოეული თავის გადარჩენისთვის იბრძვის. ჩემი პერსონაჟი, იცით, რატომ მომეწონა? ცუდია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, იძულებულია ტყუილი თქვას, ხან ინვალიდის სავარძელშია, ვითომ არ ესმის, ამ დროს ყველაფერი შეუძლია, თან ძალიან მერკანტილურია, რაც XXI საუკუნის უბედურებაა – ფული, ფული და ფული! პირველი ღირებულება გახდა ფული, სულიერება წავიდა უკან, იმიტომაც ყვირის უკვე ჩვენი კათალიკოსი, რომ სულიერებას მოვუხმოთ, რადგან ეს არის დაღუპვა და, სამწუხაროდ, აქეთ მიდის მსოფლიო. თითქოს მატერიალურმა პირობებმა აიწია ევროპაში და თითქოს უკეთესობაა, მაგრამ სულიერება არსად ჩანს. სოლჟენიცინი რომ წავიდა ევროპაში, პირველი ის თქვა, ევროპას სულიერება არ აქვსო. საბჭოთა კავშირის დროს კი იყო ჩაკეტილი საზღვრები, მაგრამ დამლაგებელსაც კი ხელში წიგნი ეჭირა, ანუ წიგნიერება, სულიერება მნიშვნელოვანი იყო. დღეს წიგნი გადავარდა და მისი კითხვა აღარავის უნდა. დიდი ერები უძლებენ გლობალიზაციას, ჩვენნაირმა პატარა ერებმა კი თუ სულიერება არ შევინარჩუნეთ, ვერ გადავრჩებით. ისეთი პერიოდი დგას მთელ მსოფლიოში, ამასაც ვერ გაექცევი, ფეხი უნდა აუწყო, მაგრამ თუ არ შეინარჩუნე შენი ტრადიციები, რომელსაც გლობალიზაცია ებრძვის, საქმე ცუდად წავა. ევროპასაც აქვს პრობლემები – საფრანგეთში ფრანგი აღარ არის და გერმანიაში თურქები მომრავლდნენ, მაგრამ ისინი ბევრნი არიან და ამას აიტანენ, ჩვენთვის კი მთავარი სულიერებაა. მეზობლის, მეგობრის ჭირის გაზიარება იცოდა ქართველმა და ეს ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ. დაუკვირდით, რამდენი უცხოელი ჩამოვიდა საქართველოში საცხოვრებლად. ეს ხომ ტყუილად არ ხდება? ბეწვის ხიდზე გადის ჩვენი ქვეყანა და ამიტომ მეტი გონიერება გვმართებს. ჩვენმა თაობამ ეს მოვახერხეთ, ახლა უკვე თქვენმა თაობამ, ჩემი შვილიშვილის – ნინის თაობამ უნდა მოახერხოს ეს ყველაფერი. ნინის თაობაშიც არიან, ვისაც ძლიერი მეგობრობა აკავშირებთ და ეს მიხარია ძალიან. მეგობრობა და ადამიანური ურთიერთობები თუ გაცივდა, დავიღუპებით და მაშინ დამთავრდა ქართველი. სხვა რითი უნდა გააკვირვო უცხოეთი? ჩაცმა-დახურვით? მოდელებით? სიმღერით? სულ მაგას ვეუბნები ნინის, ძალიან კარგია თანამედროვე ინგლისურენოვანი სიმღერები, მაგრამ გამოვარდება ერთი ზანგი და ისე იმღერებს, სულ გადაგისვამს ხაზს.

***– რას ურჩევთ ნინის, ფოლკლორი იმღეროს?***

– თინეიჯერები ქართულ სიმღერებს არ უსმენენო, ნინი ამბობს. აბა, გაიტანეთ კარგად გაკეთებული, თუ არ მოუსმენენ? მიბაძვით გაკეთებული სიმღერა ვის რად უნდა?

***– ნინიმ თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრა და მსახიობია. მოვიდა თქვენს პრემიერაზე?***

– კი, როგორ არა, მოვიდა ყვავილებით და მთელი ამბით. ნინი და ნიკუშა წულუკიძე ერთად მოვიდნენ. მათთან ერთად მოვიდა იმედა კახიანის მეუღლე ფლორა.

***– რა გითხრათ ნინიმ?***

– ნინიმ მითხრა, თავიდან ვღელავდი, მაგრამ მერე და მერე ყველანაირი ღელვა მომეხსნაო. ნინის თეატრალური აქვს დამთავრებული და აქვს ყველანაირი მონაცემი – თავისი გარეგნობით, თავისი მუსიკალურობით, თავისი პლასტიკურობით ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზეა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ნინია და ჩემი შვილიშვილია. არ ვიცი რამდენად დრამატული მსახიობი შედგებოდა, მაგრამ სახასიათო მსახიობი ნამდვილად არის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრჯერ გამამასხარავა ტელეფონით, ხან კაცის ხმით მელაპარაკა, ხან რუსულად, ათას სისულელეზე გამაცემინა პასუხი. ორი კვირა იყო ნინი რუსეთში და იმათი პრონონსით მელაპარაკა ისე, რომ ვერც კი ვიცანი. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ნინიმ ქაბატოს როლი ითამაშა, იქ ედგა მოწინააღმდეგედ დედამისი ხანუმას როლში. ეკა ნიჭიერი მსახიობია და ნინისთან ერთად რამდენიმეწუთიანი გათამაშება ჰქონდა. დამიჯერეთ, ქაბატო უფრო რთული სათამაშოა, ვიდრე ხანუმა. ნინიმ ყველაფერს თავი მშვენივრად გაართვა. ისეთი კარგი იყო ნინი, აჯობა კიდეც დედამისს.

***– ამას იმიტომ ამბობთ, რომ ნინი თქვენი შვილიშვილია და ენაცვალოს ბებია?***

– არავითარ შემთხვევაში! ყოველთვის ობიექტური ვარ. პატარაობიდან ნინი სცენაზე დგას, სულ ყურადღების ცენტრშია, ღმერთმა დაასაჩუქრა მშვენიერი გარეგნობით, მშვენიერი მუსიკალური თუ თეატრალური მონაცემებით და ყველაფრის მიუხედავად, არანაირი ამბიცია არ აქვს. სარკეში რომ იხედება, სულ ამბობს, რა მოსწონთ ჩემშიო! ვეჩხუბები, არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვს-მეთქი, სულ მივუთითებ, რომ საკუთარ შესაძლებლობებში უფრო თავდაჯერებული უნდა იყოს. რაღაცნაირი ბავშვია, სულ უნდა შეძახილი, კრიტიკულია თავისი თავის მიმართ.

***– თქვენს შენიშვნებს ითვალისწინებს?***

– სიმღერაშიც, რომ მღერის, ითვალისწინებს თუ არა ჩემს შენიშვნებს არ ვიცი, მაგრამ მისმენს. იცის, რომ მუსიკალური განათლება მაქვს. ჩემი გვარი – მაღრაძეები ყველა მღეროდნენ. ჩემი მეუღლეც კარგად მღეროდა, მაგრამ ჩემი ბიჭები არ მღერიან რატომღაც. ალბათ, მათში გენი ისვენებს, სამაგიეროდ, ნინი მღერის კარგად. იმედაც კარგად მღერის, ეკა ხომ მღერის და მღერის, აბსოლუტური სმენა აქვს, ბებიასაც მუსიკალური განათლება აქვს, ასე რომ, მუსიკალური გარემო ნინისთვის უცხო არ არის. ბევრჯერ უთქვამს, ნუ გამიწყალეთ გული, ყველა რაღაცას მეჩიჩინებაო.

***– რას ითხოვთ ნინისგან?***

– მინდა, ქართული თბილისური სიმღერები მეტი ჰქონდეს. ნატო მეტონიძე მიყვარს ძალიან და მასაც აქვს თავის რეპერტუარში შეტანილი ასეთი სიმღერები. ნინი „ყარაბახში“ ნიაზ დიასამიძესთან ერთად ცუდად მღერის? მინდა, მისი რეპერტუარი მრავალფეროვანი იყოს. დუეტები რომ იყო, ნინიმ და ბიჭოლამ ცუდად იმღერეს? შეუძლია და რატომ არ აკეთებს? იმას კი არ ვამბობ, სულ გასართობი რეპერტუარი ჰქონდეს, მაგრამ ლაღიძე, ცაბაძე, ცინცაძე, კვერნაძე არ შეიძლება ჰქონდეს ნინის რეპერტუარში? რუსულ სიმღერებსაც კარგად მღერის, სულ ვთხოვ, რომ თითო სიმღერა ასეთიც ჰქონდეს, ახლა კი ეცინება, მაგრამ, ალბათ, მაინც ჩართავს რეპერტუარში. ნინის უყვარს თავისი ტოლი მსმენელი, მაგრამ ჩემი, ჩემი შვილების ტოლი მსმენელიც ხომ არსებობს? თუნდაც დედამისის და მამამისის თაობის მსმენელსაც ხომ სულ სხვა მოთხოვნილებები აქვთ? ალბათ, გაითვალისწინებს. შემოდგომაზე აპირებს სოლოკონცერტს და ალბათ, იქ გადაწყვეტს, როგორი რეპერტუარი ექნება. თან ალბომსაც უშვებს. უცნაურია, რომ ის სიმღერაში უფრო აქტიურია, ვიდრე მსახიობურ კარიერაში. თეატრალური მონაცემები აქვს, მაგრამ რომ გითხრათ, სცენა უყვარს, მოვიტყუები. ფილმებში არის გადაღებული, მაგრამ თეატრის სცენა არ იზიდავს. რობერტ სტურუამ შესთავაზა ოფელიას როლი და უარი თქვა.

***– რატომ?***

– აბა, ჰკითხეთ, რატომ?! შემეშინდაო, ამბობს. მერე მაინც დავაკავებო, ამბობდა სტურუა, მაგრამ როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ კარგად ვიცით. კინო უყვარს, ეს მამამისის დამსახურებაა. ამ დროს ნინის ძალიან თეატრალური მონაცემები აქვს. ერთი რომ გარისკოს, შეიძლება გაუჩნდეს თეატრში მოღვაწეობის სურვილი.

***– ქალბატონო ლალი, დავბრუნდეთ სპექტაკლს. რა გამოცდილება მიიღეთ ამ სპექტაკლით?***

– სპექტაკლს, პირველ რიგში, ვუყურებდი როგორც მაყურებელი, რადგან ნამდვილად პროფესიონალი მაყურებელი ვარ, რასაც არ ვამბობ მსახიობობაზე. ქეთინო კიკნაძე მეტყოდა, ისე ზუსტ რაღაცას მეტყვი, პირდაპირ მოარტყამო. მაყურებლის თვალით მე ვაფასებდი სპექტაკლს, მსახიობური თვალით – ისინი, ამიტომაც გამოვიდა ალბათ კარგი სანახავი.

***– შენიშვნები მიიღეთ?***

– მსახიობებს ვთხოვდი, მიეთითებინათ თუკი რაიმე შეცდომას მიპოვიდნენ ან შენიშვნა ექნებოდათ. ეს სულაც არ არის საწყენი. მარინა ყველაზე მეტ მითითებებს მაძლევდა, ახალგაზრდები – უფრო ნაკლებად, ალბათ, ერიდებოდათ. მარინა ჯანაშიაა ამ სპექტაკლში წამყვანი, ამიტომ მას ვენდობოდით.

***– რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება მოგიწიათ?***

– სპექტაკლში ცეკვა მომიწია. რეჟისორს უნდოდა, რომ პერსონაჟები ამყოლოდნენ ცეკვაში, მაგრამ მარინა ჯანაშიამ მოახსნევინა, სჯობს მარტო ლალიმ იცეკვოსო. მითხრა, ნახე, ყოველთვის ტაში გექნებაო და მართლაც ასეა. მარინა საოცარი ადამიანია, ამას იმიტომ ვამბობ, რომ არიან მსახიობები, რომლებიც კარგი მსახიობები არიან და არ უნდათ არავისთვის კარნახი და მითითებები. ნანა ფაჩუაშვილი, ქეთინო კიკნაძე, სოფიკო ჭიაურელი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან, ამიტომ თეატრის სამზარეულო კარგად ვიცი. მარინა ჯანაშიასთან კი არ გაჩნდა რაღაც ნეგატიური მომენტი, პირიქით, ყველანაირად დამეხმარა, ამიტომ ის ჩემთვის ასჯერ საპატივცემულოა.

***– ქალიშვილების დედა ხართ სპექტაკლში, რეალურ ცხოვრებაში კი ორი ბიჭი გყავთ. ამან რამე როლი ითამაშა?***

– ჩემთვის მთავარი იყო, ჩემს როლზე სერიოზულად მემუშავა. ახალგაზრდებისგან ბევრის სწავლა შეიძლება და ეს ჩემთვის სულაც არ არის სირცხვილი. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, წავიდა მედეა ჩახავა, სოფიკო ჭიაურელი, სესილია თაყაიშვილი, ვინ მოდისო? დამიჯერეთ, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი მოდის, რომლებზეც ქართული თეატრი მთელი სიმყარით დადგება. იმისათვის, რომ მათი ნიჭი დაინახოთ, თეატრში უნდა იაროთ და მარტო ფილმით და სერიალით არ განსაზღვროთ მათი ნიჭიერება. მათ ხელის შეწყობა და დიდი თეატრები სჭირდებათ, რომ უფრო ფართო მაყურებელმა გაიცნოს და გაიგოს მათ შესახებ, არანორმალურად ნიჭიერები არიან. საცოდაობაა მათი უყურადღებოდ დატოვება, ისინი თეატრში მაყურებელს აუცილებლად მიიყვანენ.

***– რას გვირჩევთ თქვენს სპექტაკლთან დაკავშირებით?***

– იარეთ სპექტაკლზე, მაგრამ არ მიბაძოთ პერსონაჟებს! ეს არის გაფრთხილება, რომ ასე არ უნდა მოიქცეთ. ამიტომ დადგა რეჟისორმაც ეს სპექტაკლი და, რაც მთავარია, მაყურებელიც სწორად იგებს სათქმელს. ძალიან კარგად აქვს მოტანილი რეჟისორს სათქმელი, ეს ნამდვილი თეატრია – იუმორით, პლასტიკით, მოძრაობით, ცეკვით, ამიტომ ის მოსაწყენი არ არის, მონოლოგით კი მართლა ყველაფერი ნათქვამი. დარბაზი, რომელიც მანამდე სიცილით გორაობს, ტაშზეც არის და ოვაციებიც, მონოლოგს უკვე გასუსული უსმენს.

## „დინამოს“ აკადემიის ტრიუმფი



უფროსი ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა მეხუთე საფეხბურთო ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის 2001, 2002, 2003 წელს დაბადებული მოზარდები. სამი ასაკობრივიდან ორში „დინამო-2001“ და „დინამო-2002“- წლიანებმა გაიმარჯვეს. „დინამო-2001“-მა ფინალში სძლია გორელ თანატოლებს (8:2), ხოლო „დინამო-2002“-მა – „ნორჩ დინამოელებს“. ძირითადი დრო ავთო ფერაძის გოლის წყალობით ყაიმით დასრულდა (1:1). პენალტების სერიაში გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ტურნირის საუკეთესო მცველად დასახელდა ზურაბ დავითაშვილი (2001 წ.), თავდამსხმელად – ალექსანდრე გოდერძიშვილი (2002 წ.), ხოლო მეკარედ – ლუკა ხარშილაძე (2002).

**ბუთო ათონელი**

# თორნიკე შენგელია: მომავალ კვირას ამერიკაში მივემგზავრები“

თორნიკე შენგელიამ ნბა-ს მიერ იტალიაში ორგანიზებულ კემპზე თავი ისახელა და იქაურ დრაფტზე არჩევის შანსები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. ტურნირის უძვირფასესი მოთამაშის (მვპ) გამოკითხვაში ქართველი კალათბურთელი მხოლოდ უკრაინელ ოლექსანდრ ლიპოვის ჩამორჩა, საუკეთესო მძიმე ფორვარდის ტიტული კი არავის დაუთმო.

ტრევიზოს კემპის დასრულების შემდეგ ქართველმა კალათბურთელმა სპეციალისტები მის ამერიკულ კარიერაზე კიდევ ერთხელ აალაპარაკა. შენგელიას თამაშს ვებგვერდი „ბლეჩერსპორტი“ გამოეხმაურა, რომელმაც ჩვენებური კემპის ოთხ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშეს შორის პირველ ნომრად დაასახელა. თორნიკეს გარდა, რჩეულთა შორის ხორვატები დარკო პლანინიჩი, ტომისლავ ზუბჩიჩი და ფრანგი რუდი ჟობერიც მოხვდნენ.

ვნახოთ, რას წერს „ბლეჩერსპორტი“:

– „ადიდასის“ ევროკემპი საკალათბურთო სამყაროში ყოველთვის გამორჩეულ ინტერესს იწვევს და გასაკვირი არ არის, რომ მას ნბა-სა და თუ ევროპული წამყვანი კლუბების გენერალური მენეჯერები, სკაუტები და კალათბურთის სპეციალისტები თვალს ადევნებენ. ტრევიზოს საიუბილეო მე-10 კემპს 45 ახალგაზრდა კალათბურთელი ეწვია, რომელთა მთავარი მიზანიც ნბა-ს კლუბების წარმომადგენელთა დაინტერესება იყო. ჯერ კიდევ კემპის დაწყებამდე ცნობილი გახლდათ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ფრანგი ევან ფურნიესა და ჩეხი ტომაშ სატორანსკისადმი იქნებოდა მიპყრობილი. ამ წყვილს ახლაც დრაფტის პირველი რაუნდის მიწურულს ან მე-2 რაუნდის დასაწყისში არჩევას უწინასწარმეტყველებენ, თუმცა, ტრევიზოში სხვა კალათბურთელებიც გამოჩნდნენ, რომელთაც მაყურებლებს თავი არანაკლებად დაამახსოვრეს. კემპის უმთავრესი ვარსკვლავი თორნიკე შენგელია გამოდგა. მისი საშუალო მონაგარი 14.3 ქულა და 5.4 მოხსნა იყო, თამაშიდან კი სროლათა 59%-ს (25 42-დან) აგდებდა. ქართველი ფორვარდი როგორც ფარქვეშიდან, ასევე გარედან, ლამის სამქულიანი ხაზიდან შეტევას არ ერიდება. აქვს ძალიან სწრაფი და მოხდენილი მოძრაობები, გააჩნია პასის კულტურაც. მაგალითად, კემპის ერთ-ერთ შეხვედრაში მან 5 შედეგიანი პასი მიითვალა. „ნეთსკაუთს ბასკეტბალს“ შენგელია დრაფტზე 41-ე ნომრად ჰყავდა განთესილი და მას „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში“ აყვანას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ გასულმა დღეებმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. ქართველი კალათბურთელის აქციები სულ უფრო მაღლა იწევს და ევროპული კემპის შემდეგ მის მე-2 რაუნდის სტარტზევე ანუ მოწინავე ოცდაათეულის კვალად არჩევას უნდა ველოდეთ.

სააგენტო „დრაფტექსპრესი“ შენგელიას კემპის მვპ-ს წოდებას აქტიურად უწინასწარმეტყველებდა და ყველაზე მეტი დრო სწორედ ქართველის შესახებ საუბარს მიუძღვნა.

– თორნიკე შენგელია ტრევიზოს კემპის საუკეთესო მოთამაშის სატიტულო გამოკითხვაში მე-2 ადგილზე დარჩა, მძიმე ფორვარდებში პირველობა კი არავის დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ქართველ კალათბურთელს ფენომენალური ფიზიკური მონაცემები სულაც არ გააჩნია, თუმცა, სისწრაფე, გამძლეობა და ამ თვისებების მოძრაობაში გამოყენება მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც კი მას შეუდარებელს ხდის. სხარტი მოძრაობების შემდეგ შენგელიას ჩატენვები კემპის ერთ-ერთ მშვენებად იქცა, მისი პოტენციალი კი პირველივე დღიდან იგრძნობოდა, როდესაც მან მოედანზე შეაბიჯა. ქართველ ფორვარდს ძალიან სწრაფი საწყისი ნაბიჯები აქვს და, შესაბამისად, შეტევაში უპირატესობასაც თავადვე ქმნის. ამიტომაც იყო, მის წინააღმდეგ ერთი-ერთზე გამკლავება ძალიან რომ ჭირდა. ერთია, ქართველ კალათბურთელს საშუალო დისტანციიდან სროლა გასაუმჯობესებელი აქვს, თუმცა ტრევიზოში ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე იყო. გარდა ამისა, შენგელია გაცილებით უკეთესი იყო დაცვაში, ვიდრე ეს სეზონის დასაწყისში ბელგიური „შარლერუას“ რიგებში ხდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართველ ფორვარდის გარჯა უნაკლოა. მან, პირველ რიგში, სროლის პროცენტი, ფარზე და დაცვაში ყურადღებიანი თამაში უნდა დახვეწოს. თუმცა, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მან ნბა-ს კემპზე ჩამოსულ კალათბურთელებს შორის ერთ-ერთი ნამდვილი პროფესიონალის შთაბეჭდილება დატოვა. შენგელიამ საოცარი პროგრესი განიცადა და ნბა-ს დონის მოთამაშისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. კემპის დასკვნით დღეს „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდის მაისურით მისი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ თამაში მთელი ტურნირის მართლაც გამორჩეული სანახაობა იყო.

შენგელიასთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– სანამ თქვენი გამოსვლის შესახებ გკითხავდეთ, იმ გარემოს შესახებ გვითხარით, რომელიც ტრევიზოში სუფევდა.***

– გარემო შესანიშნავი იყო. ტრევიზოში თავი ევროპის თითქმის ყველა პერსპექტიულმა ახალგაზრდა კალათბურთელმა მოიყარა. სპეციალისტებზე, სკაუტებსა და დამკვირვებლებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. იქ იყო ნბა-ს 30-ვე გუნდის წარმომადგენელი, ასევე ევროპის ყველა ქვეყნიდან იყვნენ მენეჯერები, მწვრთნელები და დამკვირვებლები. ყველას აინტერესებდა იმ თაობის ხილვა, რომელიც ევროპულ კალათბურთში მოდის. უშუალოდ კემპისთვის მოწვეული იყვნენ საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ვარჯიშებს ატარებდნენ და თამაშებში გუნდებს ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იგორ კოკოშკოვიც იყო.

***– მასთან ურთიერთობა ხომ არ მოგიწიათ?***

– კოკოშკოვს პირადად ვხვდებოდი და ვსაუბრობდით ხოლმე, თუმცა იგი ჩვენი გუნდის მწვრთნელი არ ყოფილა. იგორი ნიკა მეტრეველის გუნდს ხელმძღვანელობდა. მათი ტრევიზოში ნახვა ძალიან გამიხარდა.

***– როგორი იყო კემპის დღიური განრიგი?***

– კემპზე დაახლოებით 50 მონაწილე ვიყავით. დილას ვარჯიშები გვქონდა. სხვადასხვა კომპონენტში გვამზადებდნენ. ვაბარებდით ნორმატივებს ხტომაში, სირბილში, დრიბლინგში და ასე შემდეგ. შუადღისას თამაში გვქონდა, ხოლო დღის ბოლოს ოლ სტარი იმართებოდა, რომელშიც გამორჩეული კალათბურთელები თამაშობდნენ.

***– პირველ დღეს ოლ სტარში რატომ არ ითამაშეთ?***

– გადაღლილობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოლ სტარში ჩემი თამაში თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, ეს გარემოება გაითვალისწინეს და დავისვენე. საქმე ის არის, 8 ივნისის ღამეს ბელგიის ჩემპიონატის ფინალური მატჩი რომ ვითამაშე, 3 საათში იტალიაში გავემგზავრე. დილას ვივარჯიშე, მერე ვითამაშე და ოლ სტარში ნამდვილად ველარ გამოვავლენდი ჩემს შესაძლებლობებს.

***– სამაგიეროდ, მეორე დღის ოლ სტარის საუკეთესო მოთამაშე გახდით, არადა, შუადღის მატჩში მხოლოდ 4 ქულას დასჯერდით.***

– დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, თუ ვინ რამდენ ქულას მოაგროვებდა. ოლ სტარში იმ მოთამაშეებს იწვევდნენ, რომელთა ნახვაც სკაუტებსა და მწვრთნელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ. რაც შეეხება პირველ ოლ სტარს, ნორმალურად ვითამაშე. ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დამაკლდა. უკეთესადაც შემეძლო, მაგრამ...

***– ოლ სტარში მესამე დღესაც მიგიწვიეს. ეს ნიშნავს, რომ თქვენი თამაშის ნახვაზე დიდი მოთხოვნილება იყო?***

– კონკრეტულად ვერ ვიტყვი, ჩემი ნახვა ვის უნდოდა. რაც შეეხება მესამე დღის ოლ სტარს, ის ერთგვარად შემაჯამებელი მატჩი იყო, რომელსაც მთლიანად ტურნირის „ყველა ვარსკვლავის“ თამაშის დატვირთვა ჰქონდა. თუმცა ამ შეხვედრამდეც მნიშვნელოვანი მატჩი ჩავატარეთ. საქმე ის არის, რომ ტრევიზოს კემპის ისტორიაში ყველა შეხვედრა რამდენიმე გუნდს თუ მოუგია. ამიტომ ჩვენს მწვრთნელსა და ჩვენც, მოთამაშეებს, გამარჯვება გვინდოდა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და ტურნირი მაქსიმალური შედეგით დავასრულეთ.

***– კემპის შემაჯამებელ ოლ სტარშიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყავით.***

– ძალიან რთული თამაში იყო. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების სახით ძლიერი მეტოქე გვყავდა. აქაც ერთგვარი ტრადიცია არ დავარღვიეთ, რომლის თანახმადაც, ტურნირის „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდი არ აგებს. არადა, მესამე მეოთხედში 15 ქულით ჩამოვრჩით, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მოვიპოვეთ.

***– რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს თამაშს?***

– არ ვიცი, კონკრეტულად რომელი გუნდის წარმომადგენლები დაინტერესდნენ და რას აპირებენ მომავალში. თუკი დაინტერესება იქნება, კლუბები ჩემს მენეჯერებს დაუკავშირდებიან. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რომელი კლუბი დაინტერესდა.

***– უახლოესი გეგმები როგორია?***

– შემდეგ კვირაში ამერიკაში მივემგზავრები, სადაც, სავარაუდოდ, წინასადრაფტო ვარჯიშებში მივიღებ მონაწილეობას, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ჯერჯერობით კონკრეტული გუნდების შესახებ არაფერი ვიცი.

***– ამერიკულ ვებგვერდებზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი შანსები გაიზარდა. წერენ, შენგელიას დრაფტის მეორე რაუნდის დასაწყისში აირჩევენო.***

– დრაფტი ისეთი რამეა, რომ გადაჭრით ვერ იტყვი, რომელ ნომრად აგირჩევენ. ასეთი მყარი გარანტია იშვიათია.

***– დრაფტზე არჩევის შემთხვევაში, მოახერხებთ თუ არა, რომ ამრჩევი გუნდისგან კონტრაქტი დაიმსახუროთ?***

– ძნელია ამის თქმა. თუკი დრაფტზე ამირჩიეს, მერე ახალ გუნდთან კიდევ მომიწევს სხვადასხვა კემპზე გამოსვლა. იქ, ამერიკაში, სულ სხვა კალათბურთია. ასე რომ, ძნელი სათქმელია, რას ვიზამ. ჩემი მხრივ კი ცდას არ დავაკლებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომავალი გუნდისგან კონტრაქტი დავიმსახურო.



# სკუადრა აძურა ჩვეულ სტილშია — ყველაფერი ბოლოსთვის მოიტოვა

იტალია-ხორვატია 1:1

1:0 პირლო (39), 1:1 მანჯუკიჩი (72)

იტალია: ბუფონი, მაჯო, ბონუჩი, დე როსი, კიელინი, მოტა (მონტოლივო 63), ჯაკერინი, მარკიზიო, პირლო, კასანო (ჯოვინკო 83), ბალოტელი (დი ნატალე 69)

ხორვატია: პლეტიკოშა, სრნა, ჩორლუკა, შინდელფელდი, სტრინიჩი, ვუკოევიჩი, რაკიტიჩი, მოდრიჩი, მანჯუკიჩი (კრანჩარი 90), პერიშიჩი, (პრანიჩი 67) იელავიჩი (ედუარდო 83)

მატჩი ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა. საბოლოო შედეგი კი ისეთი დაფიქსირდა, რომ მესამე ტურის შემდეგ რომელიმესთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს. ხორვატები მოგების შემთხვევაში უკვე მეოთხედფინალში იქნებოდნენ, იტალიას კი სუპერშანსი უჩნდებოდა. თუმცა გუნდები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს და ახლა ბოლო ტურის მოლოდინში არიან. თუ რა შანსები აქვთ და როგორ მოხდება დათვლა, ამაზე მეორე მატჩის მიმოხილვის ბოლოს გიამბობთ, მანამდე კი პოზნანში ჩატარებული თამაში.

გუნდებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს. არც ერთს არ სურდა გოლის გაშვება და ეს ყველაფერი ზედმეტ სიფრთხილეში გადასდიოდათ. ცოტა უფრო აქტიურად იტალიელები გამოიყურებოდნენ და პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს.

35-ე წუთზე ხორვატთა მეკარე სტიპე პლეტიკოშამ სასწაული ჩაიდინა და, რომ იტყვიან, ორი „მკვდარი ბურთი“ მოიგერია — პირისპირ დარჩენილ მარკიზიოს სისხლი გაუშრო.

თუმცა 4 წუთში ანდრეა პირლომ საჯარიმო დარტყმა დიდებულად შეასრულა, მართალია, პლეტიკოშამ ბურთს ხელი კი წაჰკრა, მაგრამ მაინც უძლური აღმოჩნდა — 1:0.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ბევრი არ იყო დარჩენილი და გუნდებმაც ვერაფერი ხეირიანი ვერ შექმნეს.

მეორე ტაიმი ხორვატებმა უფრო აქტიურად დაიწყეს, თამაში ნელნელა იტალიელთა ნახევარზე გადავიდა და მეტოქეს მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა კარგა ხანს ვერაფერს უხერხებდნენ „სკუადრა აძურას“ ბრწყინვალედ მოთამაშე დაცვას.

თუმცა, 72-ე წუთზე დაცვის ერთადერთი ჩათვლემა იტალიელებს გაშვებულ გოლად დაუჯდათ. ბურთი, რომელიც პოზიციურად ცუდად მდგარ კიელინის თავზე გადაევლო, მანჯუკიჩს მიუვიდა, რომელმაც ახლოდან დაარტყა და ბურთი ძელიდან ასხლეტით შევარდა კარში — 1:1.

დარჩენილ დროში გუნდები უფრო გააქტიურდნენ, თუმცა კარამდე მიახლოებას მაინც ვერ ახერხებდნენ და შორი მანძილებიდან ცდილობდნენ გოლის გატანას. ჯერ მონტოლივოს პლეტიკოშამ აუღო, ხოლო შემდეგ ბუფონმა იყოჩაღა და რაკიტიჩს არ გაატანია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — სტიპე პლეტიკოშა

ხორვატთა მეკარე, ივან სტრინიჩი, თუ ანდრეა პირლო — საფიქრალი მართლაც იყო, მაგრამ უპირატესობა მაინც პლეტიკოშას მივანიჭეთ. ის მართლაც დამაჯერებლად მოქმედებდა. მის სეივებზე კი გითხარით და მიმოხილვაში თითქოს მეტი არც არაფერი ჩანს, მაგრამ ძალიან მშვიდად მოქმედებდა ყველა ჩაწოდებულ ბურთზე და ჩინებულად აკონტროლებდა სიტუაციას.

ესპანეთი — ირლანდია 4:0

1:0 ტორესი (4), 2:0 სილვა (49), 3:0 ტორესი (70), 4:0 ფაბრეგასი (83)

ესპანეთი: კასილიასი, არბელოა, რამოსი, პიკე, ალბა, ბუსკეტსი, ალონსო (ჩავი მარტინესი 66), ჩავი, ინიესტა, (კასორლა 79) სილვა, ტორესი (ფაბრეგასი 73)

ირლანდია: გივენი, ოში, სენტლეჯერი, დანი, უორდი, ენდრიუსი, ველანი, (გრინი 80) მაკგიდი, დაფი (მაკლინი 76), კოქსი (ვალტერსი 46), კინი

ასეთ შედეგზე იტყვიან, მოსალოდნელი იყოო და ასეც არის. მოედანზე ორი განსხვავებული კლასის გუნდი თამაშობდა. სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატზე — ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი გუნდები. ირლანდიელებს მხოლოდ ის დარჩენოდათ, თვალი ედევნებინათ, როგორ თამაშობდნენ ესპანელები, როგორ გადაარჩენდა შეი გივენი თავისიანებს ორციფრიანი ანგარიშით წაგებისგან. ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როდესაც უძლური ხარ და სწორედ ასეთი იყო ირლანდიის ნაკრები.

ბურთის ფლობა — 66-34, კარში დარტყმა — 15-2 და შეი გივენის 11 სეივი. ცხადია, ამ ფაქტების შემდეგ ყველაფერი ნათელია.

ყველა ის მომენტი რომ ჩამოვთვალოთ, რომლებიც ესპანელებმა მეტოქის კართან შექმნეს, ალბათ, მთელი გაზეთი არ გვეყოფა, ამიტომ — მხოლოდ გოლები.

მე-4 წუთზე ჩავის ბრწყინვალე პასის შემდეგ დავიდ სილვა დასარტყმელ პოზიციაზე დარჩა, მაგრამ მცველმა შეუშალა ხელი, თუმცა ბურთი ფერნანდო ტორესმა მოიგდო, ერთ მცველს გასცდა და გივენს უძლიერესად დაურტყა 1:0.

49-ე წუთზე სილვამ შედევრი დადგა. ჩავის ჩაწოდების შემდეგ კარში ინიესტა ურტყამდა, გივენმა მოიგერია და ბურთი სილვას მიუვიდა. მან ორი მარტივი მოძრაობით სამი მცველი დააბნია და ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

70-ე წუთზე ირლანდიელები შეტევაში გაერთვნენ, დაცვა მიავიწყდათ და ესპანელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, რის შემდეგ დავიდ სილვას ჩინებულმა პასმა ფერნანდო ტორესი მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ახლო კუთხეში გაუტანა გივენს — 3:0.

83-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი სესკ ფაბრეგასმა მიიღო, მცველი ჩამოიშორა და უძლიერესი დარტყმით ძელიდან ასხლეტილი ბურთი კარის ბადეში გაახვია — 4:0.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — დავიდ სილვა

ესპანელთა ვინგერი შეუდარებელი იყო. მონაწილეობდა თითქმის ყველა კომბინაციაში, გაიტანა გოლი, არიგა საგოლე პასები, მოედანზე ძალიან საშიში იყო და ისეთ რამეს „მოიგონებდა“, რომ მეტოქე დაშინებული ჰყავდა.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1.ესპანეთი** | **2** | **1** | **1** | **0** | **5:1** | **4** |
| **2.ხორვატია** | **2** | **1** | **1** | **0** | **4:2** | **4** |
| **3.იტალია** | **2** | **0** | **2** | **0** | **2:2** | **2** |
| **4.ირლანდია** | **2** | **0** | **0** | **2** | **1:7** | **0** |

ახლა რა ხდება ჯგუფში:

დარჩენილია ორი მატჩი — ესპანეთი-ხორვატია და იტალია-ირლანდია.

თუ ესპანეთ-ხორვატიის შეხვედრაში ერთ-ერთმა იმარჯვა, იტალია ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში გავა, ხოლო თუ იტალიამ ვერ მოიგო, მაშინ ესპანეთი და ხორვატია ნებისმიერ შემთხვევაში მეოთხედფინალში არიან.

შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ სამმა გუნდმა თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვოს. ასეთ შემთხვევაში მათ შორის ქულები და შემდეგ ბურთების შეფარდება დაითვლება.

თუ ესპანეთი-ხორვატია 2:2 ან უფრო „ხვავრიელი“ ფრე დასრულდა, შემდეგ ეტაპზე ორივენი გავლენ და იტალიელთა ნებისმიერ შედეგს აზრს უკარგავენ.

თუ ესპანეთი-ხორვატია 1:1 დასრულდა, მაშინ იტალიამ 3:0 ან 4:2 და უფრო მაღალი ორბურთიანი მოგებით უნდა აჯობოს ირლანდიას, რათა ჯგუფიდან გავიდეს.

ესპანეთიხორვატიის 0:0-ის შემთხვევაში კი იტალია ნებისმიერი მოგებით პირველ ადგილზე გავა და ხორვატია ჯგუფიდან ვერ გავა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საქართველომ რუსეთის სამხედრო ტვირთს გზა არ უნდა მისცეს

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან



***— ბატონო გიორგი, რამდენიმე თვის წინ, ჩვენთან ინტერვიუში თქვენ დაუშვით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ვითარების დაძაბვისა და ომის დაწყების შესაძლებლობა. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე შეტაკებები ხდება. თქვენ როგორ აფასებთ სიტუაციას? ფართო მასშტაბით ომის წარმოქმნის საშიშროება არის?***

— როდესაც ასეთ თემაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისაგან რამდენიმე ნიშანი უნდა განვასხვავოთ. კონკრეტრულად, აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე მიმდინარე შეტაკებები, რომელსაც გუშინ და გუშინწინ ვადევნებდით თვალყურს, არ იძლევა საშუალებას, პროგნოზი გავაკეთოთ, რომ ფართომასშტაბიანი ომი იქნება დაუყოვნებლივ, ანუ მიმდინარე შეტაკებები არ ატარებენ ლოკალურ ხასიათს. ეტყობა, ეს შეტაკებები წარმოშობილია სპონტანურად, გარკვეული დაძაბულობის შედეგად, მაგრამ არ ეტყობა, რომ ეს შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი ოპერაციის შემადგენელი ნაწილი, ან მოსამზადებელი პერიოდი. ამ ლოკალურ შეტაკებებს თავისთავად მახასიათებლები გააჩნია. პირველი – აზერბაიჯანისა და სომხეთის შეიარაღებული ძალები დგანან პირისპირ. მათ შორის არის გამყოფი ხაზი და, შესაბამისად, შეიძლება ორ დაპირისპირებულ მხარეს აქვს ალბათობა იმისა, რომ მოხდება გარკვეული შეტაკებები, ცალკეული საბრძოლო ჯახი, არის მაღალი. მეორე – რაც მთვარია, ეს არის დაძაბულობა, რომელიც თან ახლდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს ამიერკავკასიაში. რუსეთისთვის ეს იყო ძალიან მტკივნეული თემა. ის ეჭვის თვალით უყურებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მას არანაირად არ სჯერა გადატვირთვის პოლიტიკის იმიტომ, რომ თვითონ რუსეთის სახელმწიფო აგებულია ტყუილზე, ხელშეკრულებას, ნებისმიერ მოლაპარაკებას კითხულობს სხვანაირად და ყოველთვის სათავისოდ იყენებს, ანუ ფაქტობრივად, რუსეთის დიპლომატია არ ცნობს სიტყვას და მოლაპარაკებას. აქედან გამომდინარე, მას აქვს ეჭვი, რომ ამერიკა გადატვირთვის პოლიტიკის დეკლარირებას ახდენს, მაგრამ სინამდვილეში ახორციელებს ოპერაციას რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის რუსი ანალიტიკოსების, იმ პოლიტიკური წრის ანალიზი, რომელიც დღეს რუსეთს მართავს. აქედან გამომდინარე, ამერიკის ნებისმიერი აქტიურობა ამიერკავკასიაში რუსეთის მხრიდან ძალიან მტკივნეულად აღიქმება და იძაბება სიტუაცია.

***—სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სიტუაციის დაძაბვაშიც რუსეთის ხელი ხომ არ ურევია?***

— სომხეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ბუნებაში არ არსებობს. არსებობს სომხეთის სახელმწიფო, მაგრამ ეს არის რუსეთის დანამატი, რუსეთის კოლონია, რომლის ტერიტორიაზე სომეხ ხალხს არ აქვს საშუალება აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა და გამოხატოს თავისი ინტერესები. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტა, რომელიც სომხეთის სათავეშია, ახორციელებს აბსოლუტურად რუსულ პოლიტიკას და, შესაბამისად, მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულ ძალებშიც და პოლიტიკურ ელიტაშიც, დომინირებს რუსული გავლენა. აქედან გამომდინარე, ეს დაძაბულობა, თავისთავად, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო რუსების მიერ ინსპირირებული. რუსეთს აწყობდა კლინტონის ვიზიტის პერიოდში ყოფილიყო მაღალი დაძაბულობა. შესაბამისად, ამიერკავკასიაში რაიმე ფორმით დალაგებული ვითარება რუსეთს არ აწყობს. რუსეთს დღეს არ აქვს საშუალება, სომხეთის დარად საქართველოც და აზერბაიჯანიც მოაქციოს თავისი გავლენის ქვეშ, ანუ უშუალოდ თვითონ მართოს და საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულები, არ არსებობდეს; მაგრამ ის ხვდება, თუ ამიერკავკასიაში, სომხეთში გავლენა დაკარგა, აზერბაიჯანელებსა და სომხებს აღარ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა. რუსეთისა გავლენა აღარ იქნება და რუსეთი ვეღარ ჩაერევა ამიერკავკასიის პოლიტიკაში. თუ დააკვირდებით, რუსეთი ყოვლად უპერსპექტივო პოლიტიკას ახორციელებს არაბული სამყაროს მიმართ. მას ბოლო ფორპოსტი გააჩნია სირიის სახით. სირიიდან ფეხის ამოკვეთა ემუქრება. ის ან უნდა გახდეს არაბულ სამყაროში მოთამაშე, რომელიც ეკონომიკური ბერკეტის საშუალებით და გარკვეული პოლიტიკური სვლებით შეინარჩუნებს გავლენას, ან ფეხი უნდა ამოიკვეთოს ამ სამყაროდან. ამიტომ ის ბოლომდე ებღაუჭება მისთვის კარგად აპრობირებულ ძალისმიერ მეთოდებს. მხარს უჭერს სირიის მმართველ რეჟიმს და, შესაბამისად, ამ გზით ცდილობს გავლენის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, წარმოიდგინეთ, თუ სირია რუსეთისთვის მნიშვნელოვანია ( ეს არის ქვეყანა, რომელიც მის საზღვართან არანაირად არ არის. არ გააჩნია რაიმე ენერგორესურსები და ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთისთვის არც ისე მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს, ასეთი ქვეყნისთვის ის საკმაოდ დიდ ზარალზე მიდის, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე საერთაშორისო ავტორიტეტის თვალსაზრისით), წარმოიდგინეთ, მისთვის რამდენად მნიშვნელოვანი და უფრო მეტად მტკივნეულია ამიერკავკასიის თემა. ის, რომ კლინტონის ვიზიტს დაემთხვა გარკვეული დაძაბულობა სომხეთ-აზერბაიჯანის შემხებ ზოლზე, თავისთავად ბადებს ეჭვს. რა თქმა უნდა, ამის უკან დგას რუსეთი. რუსეთს აწყობდა გარკვეული დაძაბულობა, მაგრამ მართული დაძაბულობა. რუსეთს არ აწყობს ფართომასშტაბიანი ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის პოლიტიკა გაშიშვლდება. როცა გადაწყვეტილებები გარკვეულწილად ღიად უნდა განაცხადო და ღიად ჩაება, ამის რესურსი რუსეთს არ აქვს. შესაბამისად, მას ურჩევნია, გარკვეულწილად, შეზღუდული რესურსის ფარგლებში მართვადი დაძაბულობა ჰქონდეს. ამ შემთხვევაშიც ზუსტად ეს იკითხება. ფაქტობრივად, დაიწყო გარკვეული პოზიციური სროლები, რომელსაც მოჰყვა გარკვეული მცირედი სამხედრო აქტიურობები. რა თქმა უნდა, იქ ადამიანები დაიღუპნენ, რადგან ეს თანმდევი პროცესია, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. თავისთავად, სიტუაციის გამწვავება აზერბაიჯანის მხრიდან ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მას არ აწყობს დაძაბულობის დაბალი ტემპით ესკალაცია.

***— თუმცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ყოველთვის ღიად ამბობდა, რომ თუკი არ მოხერხდებოდა ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით, არ გამორიცხავდა სამხედრო გზით მის დაბრუნებას.***

— ჩვენ ახლა ვსაუბრობთ მოკლე ტაქტიკურ ვითარებაზე. რა თქმა უნდა, მეც ვაცხადებ, და ასეც არის, თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა და პროგრესი არ დაეტყო ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, არის იმის ალბათობა, რომ აზერბაიჯანის მხარემ ძალა გამოიყენოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა, აზერბაიჯანს არ აწყობს რეესკალაცია მოხდეს ეტაპობრივად, ანუ მცირედი შეტაკებები, რომელიც შემდგომში ფართომასშტაბიან მოქმედებაში გადაიზრდება. აზერბაიჯანის მოქმედება იქნება ფართომასშტაბიანი და ის შეეცდება მოკლე დროში მოიპოვოს ოპერატიული უპირატესობა, ხელში აიღოს ინიციატივა და სწრაფად განახორციელოს ოპერაციები ყარაბაღის არმიის წინააღმდეგ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა რეაგირება ვერ მოასწროს. როგორც წესი, აზერბაიჯანის პირველი დარტყმა უნდა იყოს ძლიერი და სტრატეგიული შედეგის მომტანი. აქედან გამომდინარე, ეს დაძაბულობა, რომელიც არსებობდა ორი ქვეყნის საზღვარზე, არანაირად არ აწყობდა აზერბაიჯანს. მისთვის ეს უნდა იყოს გორდიას კვანძის გახსნა, ანუ პრობლემა უნდა გადაწყდეს სწრაფად. გორდიას კვანძის გახსნას აზერბაიჯანელები დიდი ხანია ცდილობენ. ეს არის უმადური საქმე, რადგან გორდიას კვანძის უკან დგას რუსეთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ ეს კვანძი გაიხსნას. ეს არის ერთი გზა, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, რისთვისაც საჭიროა სწრაფი, ეფექტური მოქმედება. თუ ზოგადი სტრატეგიიდან გამომდინარე განვიხილავთ, აზერბაიჯანმა საქართველოსთან ისეთ ურთიერთობას უნდა მიაღწიოს......

***— ასეთ სიტუაციაში საქართველომ როგორ უნდა იმოქმედოს, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესი იქნას დაცული?***

— ეს მოლაპარაკებისა და დიპლომატიური ურთიერთობის თემაა, მაგრამ საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთობლივად უნდა იმოქმედონ, დაახლოებით ისეთი სცენარით, როდესაც ყველა ვარიანტში საქართველომ უნდა დაიკავოს მტკიცე, პრინციპული პოზიცია რუსეთის წინააღმდეგ და არ მისცეს მას საშუალება, ჩაერიოს სომხეთსა და აზერბაიჯანის საქმეებში, ანუ საქართველომ რუსეთის სამხედრო ტვირთს არანაირი გზა არ უნდა მისცეს და ყველანაირი ღონე უნდა იხმაროს, მათ შორის, გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალებიც კი, იმისათვის, რომ შეცვალოს ის ოპერატიული ვითარება, რომელიც იქ არსებობს.

***— საქართველომ თავისი შეიარაღებული ძალებიც უნდა გამოიყენოს?***

— დიახ, იმისათვის, რომ შეცვალოს ოპერატიული ვითარება, როდესაც რუსეთს გააჩნია სამხედრო ზემოქმედების საშუალება, საქართველო ოპერატიული ვითარების შესაცვლელად შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც არ უნდა მოერიდოს.

***— ანუ, რა უნდა გააკეთოს რეალურად?***

— საქართველოს შეიარაღებული ძალები მოიყვანოს საბრძოლო მზადყოფნაში და არ მისცეს საშუალება რუსეთს, დაიკავოს საკომუნიკაციო ხაზები.

***— კონკრეტულად, რომელ ხაზებზეა საუბარი?***

— რუსეთ-სომხეთის შემაერთებელ ზოლზე, ანუ ის გზები და საკომუნიკაციო ხაზები, რომელიც არსებობს სახმელეთო და საავიაციო გზების სახით და აკავშირებს რუსეთს სომხეთთან.

***— შესაძლოა ლარსის ჩაკეტვაც გახდეს საჭირო?***

— ლარსის ჩაკეტვა ახლა პრობლემა არ არის. ეს არის ეკონომიკური საკომუნიკაციო ხაზი, ჯერჯერობით. აქ ლაპარაკია კომუნიკაციებზე ზოგადად.

***— სამხედრო ტვირთებს, აბა, რომელი გზით გადაიტანს რუსეთი სომხეთში?***

— ჯერჯერობით, გადააქვს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, რუსეთი სამხედრო ტვირთებს სომხეთში ვეღარ გადაიტანს. ეს პრობლემაა. თუნდაც ირანის გზით გადაუტანია, მაგრამ საქართველოს ინტერესია, ამ დაძაბულობაში ის აღმოჩნდეს სწორ მხარეს, სწორი მხარეა რუსეთის საპირისპირო მხარე. შესაბამისად, იმის დროა, რომ რუსეთმა ფეხი ამოიკვეთოს საქართველოდან. შემდეგ კითხვა რომ არ გაჩნდეს სომეხ ძმებთან დაკავშირებით, გეტყვით, რომ სომეხი ერი, ანუ სომხები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში, სომხეთში, მთიან ყარაბაღში, აზერბაიჯანში, ეს არის ის ერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობს საქართველოს მეზობლად, მაგრამ ახლა ჩვენ ვსაუბრობთ სომხეთის სახელმწიფოზე, რომელიც არის ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში, ანუ რუსეთთან ერთად. თუ გავიხსენებთ 2008 წელს, სამწუხაროდ, ამ ომში აღმოჩნდა რუსეთის მხარეს და იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელს გიუმრის ბაზა იქნა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ. გიურმის ბაზაში რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები მოყვანილი იქნა საბრძოლო მზადყოფნაში და სომხეთს არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები, არ გაუკეთებია არანაირი პოლიტიკური განცხადება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ გიურმის ბაზიდან საქართველოს წინააღმდეგ არ განხორციელდებოდა საბრძოლო მოქმედებები, ხოლო რუსეთი არ გაუფრთხილებია, რომ არ გამოეყენებინა გიურმის ბაზა საქართველოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, სომხეთი ილებდა საქართველოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობას. ამიტომ, თავისთავად, სომხეთის სახელმწიფოს დღევანდელი, ანუ რუსეთის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები, ეს არის იძულებით ნაბიჯი. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ დღეს რუსეთმა განახორციელა სომხეთის ოკუპაცია, სომხეთი არის ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში.

***— თუ სომხეთი ჩვენს წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა, ლარსის გახსნა და სამხედრო ტვირთების გატარების დაშვება გიურმის ბაზისთვის, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?***

— ეს პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ბევრ მაგალითს მოგიყვანთ, რომ ანალოგიურად ხდება. სწორედ პოლიტიკური მომენტისთვის შეიძლება ეს იყო ერთადერთი გზა და იმ ვითარებისთვის ეს არ იყო პრობლემატური, მაგრამ ზოგადი სტრატეგია თავისთავად სწორია – რუსეთის სამხედრო ტვირთები საქართველოს ტერიტორიაზე აღარ გაივლის. ჩვენ უნდა მივესალმოთ, თუ მოხდება სომხეთის დეოკუპაცია. სომხეთის დეოკუპაცია თუ მოხდება, დარწმუნებული ვარ, სომხეთსა და აზერბაიჯანს არსებული კონფლიქტი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით ადვილად მოგვარდება. ორივე მხარის კეთილი ნებაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, თუ სირთულე წარმოიშობა, ეს იქნება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და არა სირთულე აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის. გავლენის დაკარგვა სამხრეთ კავკასიაზე, ავტომატურად ნიშნავს, რომ რუსეთს დაკარგული აქვს ჩრდილო კავკასია და რუსეთის, როგორც ძლიერი სახელმწიფოს, მითი მთავრდება.

***— კლინტონის შემდეგ საქართველოში ნატოს წარმომადგენელი აპატურაი იმყოფებოდა. შეიძლება მისი ჩამოსვლაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობასთან იყოს დაკავშირებული?***

— არა. ეს არის ურთულესი პოლიტიკური თამაშები. უამრავი მხარის ინტერესებია. მათ შორის, ისრაელისაც კი. ისრაელიც ჩათრეულია კავკასიურ საქმეებში. კავკასიაში იკვეთება დიდი თუ მცირე სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ტიპის ინტერესები. ნატოს ოფიციალური პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია. მისი პოზიცია არის მოზომილი და საქართველოსთან დაკავშირებით ღია კარის პოლიტიკაა.

***— ირანის როლი როგორია?***

— არა მგონია, ირანს დიდი გავლენა ჰქონდეს სომხეთში, ირანი იყოს მოთამაშე და რაიმე ფორმით ახდენდეს გავლენას ვითარებაზე.

***— როდესაც დავით გარეჯთან დაკავშირებით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ვითარება დაიძაბა, მაშინაც კეთდებოდა განცხადებები, რომ რუსეთის ხელი ერი, ანუ რუსეთს გავლენა აზერბაიჯანზეც აქვს?***

— ფართო წრეზე არ აქვს გავლენა, მაგრამ ეს არის საკითხის წამოწევა. აზერბაიჯანშიც არსებობს ჯგუფები, რომლებიც ახმოვანებენ რუსეთის ინტერესებს. რუსეთი არის ის მოთამაშე, რომელიც ცდილობს არ დაუშვას ამიერკავკასიაში ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბება, ხელს უწყობს კონფლიქტების გაღვივებას. ის ძველი მეთოდებით, დაყავი და იბატონეს პრინციპით მოქმედებს.

# ფოტოხელოვანმა შალვა ლონდარიძემ საზოგადოება ლექსებითაც მოხიბლა

ეკა ირემაშვილი



კინოს სახლში ფოტოხელოვანისა და პოეტის, შალვა ლონდარიძის პოეზიის საღამო გაიმართა. დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ „ლამანის მირაჟი“, „ცხელი ყვავილი“, „აღმოსავლეთის მისტერია“ „ია ვარ ია“ და პოეტის შემოქმედებიდან სხვა ცნობილი ლექსები მოისმინა. ლექსები კი პოეტმა თამუნა ხელაძემ და „საზოგადოება უსახელო პოეტები“-ს წარმომადგენელმა გიორგი გოგილაშვილმა წაიკითხეს.

„შალვა უნიჭიერესი ადამიანია, მისი პოეზია ძალიან მგრძნობიარეა და სიღრმისეული. დღევანდელი საღამოს მასპინძელს ადრეც ვთხოვე ფართე აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, თუმცა ავტორის მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარე, მაშინ, მისივე შემოქმედების თაყვანისცემლებს არ გაგვიმართლა... მიხარია, რომ დღეს სრულიად რადიკალური სურათია და ჩვენ მისი პოეზიის რითმებისა და ნააზრევის თანამონაწილეები ამ დარბაზში საჯაროდ გავხდით. ამ შედეგს კი, მე და ჩემმა მეგობრებმა შალვასადმი დაბეჯითებული თხოვნის შედეგად მივაღწიეთ“, – განაცხადა დღევანდელი საღამოს ორგანიზატორმა ირინა თურქიამ.

საღამო მუსიკალურად ჯგუფმა „მიძიკამ“ გააფორმა. ჯგუფის წევრებმა მათივე რეპერტუარიდან ლირიული ჟანრის სიმღერები შეასრულეს.

ერთი თვის წინ უკრაინული მხარის ინიციატივით, შალვა ლონდარიძის ლექსების პრეზენტაცია უკრაინის დედაქალაქ კიევშიც გაიმართა, ასევე მოეწყო მისი ფოტონამუშევრების სამი პერსონალური გამოფენა. უახლოეს მომავალში შალვას ლექსები უკრაინულ ენაზეც ითარგმნება, წლის ბოლოს კი მკითხველს საშუალება ექნება ავტორის შემოქმედებას ბეჭდური სახით გაეცნოს.



## ორშაბათი 18 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი "ნაპირიდან ნაპირამდე" 14.35, 06.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" 15.15 ჩვენი ფერმა. 17.00, 05.50 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში" 19.05 სერ. "ჩემი მეგობარი" 21.00 სერ. "დეტექტივები" 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.20 საფარი 02.10 მხ. ფილმი "ჩურჩული ღამით" (18) 04.00 მხ. ფილმი "ბოლო ცეკვა ჩემია"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფ. ~~"უცხო გული" 10.30~~ დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები". 11.00 მხ. ფილმი "ელისაბედ სმარტის ამბავი" 12.45 გააგრძელე საქართველოს ისტორია. 13.15 მხ. ფილმი "მოულოდნელი სიყვარული" 14.45, 17.45, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 16.40 დოკ. ფილმი 17.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 19.00, 21.00 თავისუფალი ტრიბუნა 22.00 დოკ. ფილმი "დიდი ხელოვნება" 22.35 ფეხბურთი: ხორვატია – ესპანეთი. (პირდაპ.) 01.45 მხ. ფ. "მღელვარება"ფ

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.50 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."გოგონა გარეუბნიდან" 15.40 ხანუმა 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 კონცერტი: "ვია 75" 00.20 რომ გადახვალ, გააჩერე 00.40 25-ე კადრი 01.10 მხ. ფილმი "კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება" 04.05 მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე" 06.00 მუსიკა. 06.30 სერ. "შურისძიების საფასური"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."ენი, სწვანე სახურავების მამულიდან" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი "ექსტრემალური ამბები" 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 12.50, 19.35 სერ."მაფიოზა" 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 ლექსით ქებათა ქება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "ცისფერი მთები". 13.40 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 16.00 გაცოცხლებული წარსული. 16.30 დოკ. ფ. "ველური ბუნება". 16.55 სპექტაკლი "ეს არ უნდა მომხდარიყო". 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "ვინ არის მეოთხე". 20.40 ძილი ნებისა 21.05 ფატრიარქის ქადაგება. 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.00 სიახლენი 23.15 დოკ. ფილმი "ახალმოწამე". 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 19 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი "წყალზე ბევრად მეტი" 15.00, 21.00 სერ."დეტექტივი" 17.00 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ჩემი მეგობარი" 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.45 მხ. ფილმი "ამერიკული მთები" (12) 03.50 მხ. ფილმი "ჩურჩული ღამით" 04.45 მხ. ფილმი "ჩემი სიკვდილის შემდეგ"

08.00, 00.45 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ~~ენებზე) 09.00, 12.00~~, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 22.35 ფეხბურთი: შვედეთი – საფრანგეთი. (პირდაპ.) 01.45 მხ. ფილმი "მანჯურიელი კანდიდატი" (12) (დ. ვაშინგტონი)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 11.30, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღვინის გზა" 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 სპეც რეპორტაჟი (გან.) 01.40 მხ. ფილმი "კოქტეილი" (ტ. კრუზი) 03.45 მხ. ფილმი "ამერიკელი ცოლი" (კ. ფერტი) 05.35 მუსიკა. 06.30 სერ. "შურისძიების საფასური"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 თქვენი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. "ენი, სწვანე სახურავების მამულიდან" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 სერ."კამელოტის ქალები" 19.00 გზა ლონდონისკენ 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 10.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 12.50, 19.35 სერ."მაფიოზა" 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 გუთნისდედა 11.15 საღვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.05, 21.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფილმი "ვინ არის მეოთხე". 13.35 კონცერტი. 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 16.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.25 მხ. ფილმი "ჩრდილი გზაზე" 18.10 100 ქართული სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.55, 21.55 ერთი ნივთის ისტორია. 18.55 ისტორიის დღიური. 19.00 სიახლენი. 19.15 გამოყენებითი ხელოვნება. 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 22.00, 02.30 სიახლენი. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. 22.25 მგზავრების წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "გურული ფირალები". 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 ერთსულოვნების სალონი. 01.50 კარაბადინი 02.15 კლასიკა. 02.30 სიახლენი.

## ოთხშაბათი 20 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.20 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 15.00, 21.00 სერ."დეტექტივი" 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ჩემი მეგობარი" 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. (პირდ.) 22.00 ევროპული არჩევნები 23.00 ღამის საუბრები 01.45 მხ. ფილმი "ბოულინგის მეფე" (15) 03.40 მხ. ფილმი "ამერიკული მთები" 05.45 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "მეფე სოლომონის საბადოები" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "უნივერსიტეტელი ლურჯები" (12)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.50 სერ."უკვდავი ბავშვები" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღვინის გზა" 15.40 რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 მე მიყვარს საქართველო 23.30 ხანუმა. 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფილმი "ძმები მეტოქეები" (ა. გარსია) 03.35 მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (ჰ. გრანტი) 05.40 მუსიკა. 06.30 სერ. "შურისძიების საფასური"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. "ენი, სწვანე სახურავების მამულიდან" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 12.50, 19.35 სერ."მაფიოზა" 13.50 დოკ. ფილმი "ისინი" 15.15 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 19.35 სერ. "ძუ მგელი" 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი "გურული ფირალები". 11.00 დოკ. ფილმი "ყველაზე საქმიანი ადამიანი11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი ანდრია ბოჩელი. 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00 საექლესიო კალენდარი 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.10 100 ქართული სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 ეთნოგრაფია. 19.25 მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მაჭახელა". 00.05, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი. 01.00 ერთი დღე მონასტერში. 01.20 მხ. ფილმი "გვირაბი" 1-ნაწ.

## ხუთშაბათი 21 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ევროპული არჩევანი 13.45 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 15.00, 21.00 სერ."დეტექტივი" 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ჩემი მეგობარი" 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. მეოთხედფინალი (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.45 მხ. ფილმი "მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ" 03.45 მხ.ფ."ბოულინგის მეფე" 05.45 დოკ. ფ. "მსოფლიო ქალაქები".

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "მეფე სოლომონის საბადოები" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ზოგი რამ ჰენრის შესახებ" (12)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 11.30, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.50 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 3" 23.00 "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა 00.30 თბილისი ლაივი 01.55 მხ. ფილმი "ვან ჰელსინგი" (ჰ. ჯეკმენი) 04.20 მხ. ფ. "ბრილიანტის ამბავი" (დ. ჰოვარდი) 06.05 მუსიკა. 06.30 სერ. "შურისძიების საფასური"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 პროფილი 23.30 შიშის ფაქტორი 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. "მკაცრი დროება" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 დოკ. ფილმი "ექსტრემალური ამბები" 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 სერ. "კამელოტის ქალები" 19.00 გზა ლონდონისკენ 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 12.50, 19.35 სერ. "ძუ მგელი" 13.50 სცენა 15.15 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი "მაჭახელა". 11.10 დოკ. ფილმი "იბადება სამყარო". 11.30 გზა რომელითაც ვიარე. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ცარიელი ბინა". 13.30 კონცერტი – სქილია ბარტოლი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.35 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.25 მხ. ფილმი "20 ათასი ლიე წყალქვეშ" 1-ნაწ. 18.10 საქართველო არის ქვე - თევდორე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "სხვისი შვილები" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების სალონი 22.20 ამაღლება. 22.35, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 მხ. ფილმი "გვირაბი" 2-ნაწ. 02.30 სიახლენი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 22 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.50 დოკ. ფილმი "მიკი მაუსის კლუბი". 14.00 ჩვენი ეზო 15.00, 21.00 სერ."დეტექტივი" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ჩემი მეგობარი" 21.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. მეოთხედფინალი (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.45 მხ. ფილმი "ტყე" (15) 03.40 მხ. ფ. "მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ" (18) 05.40 მხ. ფილმი "საუბარი ზეცასთან"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფ. "გამცილებლები და დამხვდომები" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "წმინდანი"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 11.30, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.50 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ქარ. სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 100 გრადუსი 00.15 ქალური ლოგიკა 01.25 "ფლეი ბოი" 02.20 მხ. ფილმი "გატეხილი ისარი" (ჯ. ტრავოლტა) 04.10 მხ. ფ. "ადრენალინი" 05.55 მუსიკა. 06.30 სერ. "შურისძიების საფასური"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 პროფილი (გან.) 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 სერ."ალუბლების ქუჩა 12" 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. "მკაცრი დროება" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი "სფერო" 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 03.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 10.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 13.00 სამედ. გად. "იმპულსი" 13.30, 19.35 სერ. "ძუ მგელი" 15.15 სერ. "საიდუმლო აგენტების თავგადასავალი" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "სხვისი შვილები". 13.30 კონცერტი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.35 დოკ. ფილმი "ველური ბუნება". 16.00 მხ. ფილმი "20 ათასი ლიე წყალქვეშ" 1-ნაწ. 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.10 100 ქართული სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ჯარისკაცის მამა". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "დაგვიანებული ქორალი". 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე. 02.30 სიახლენი.

## შაბათი 23 ივნისი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი "შრეკი". 09.40 საბ. ფილმი "საიდუმლო კუნძული" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ქართ. ფილმი "კეთილი ადამიანები" 14.00 მხ. ფ. "უცნაური წყვილი-2" 16.30 დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები" 17.00 დამზადებულია საქართველოში. 17.30 მედ-ინფო. 18.00 პირველი ტელევიზია. 19.00 ეკონომ მენიუ. 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი. 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. მეოთხედფინალი (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.25 ავტოპილოტი 02.45 მხ. ფ. "მთვლემარე სიცარიელე" (15) (ჯ. დეპი) 04.35 მხ. ფ. "ტყე" 05.40 მხ. ფ. "საუბარი ზეცასთან" 07.05 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 ბრიფინგის დროით. კვირის დაიჯესტი 17.00 თავისუფალი ტრიბუნა 22.00 მხ. ფ. "სასიკვდილო იარაღი-2" 00.00 მხ. ფ. "ნაფოტი"

08.00 ქრონიკა 08.15, 09.15, 11.15 ან. ფილმი 09.15 ქართ. ფილმი "იმერული ესკიზები" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ავატარი" 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.10 რემონტი 14.30 ავტობიოგრაფია 15.20 რომ გადახვალ, გააჩერე 16.05 კაცების შოუ (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 20.30 სპეცრეპორტაჟი 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" 00.00 კულინარიული დუელი. 01.00 "ფლეი ბოი" 01.55 მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი-2" (ბ. უილისი) 04.00 მხ. ფილმი "შურისძიება" 07.15 მუსიკა

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი - ანიმაცია 11.00 ეკო-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 ქარ. მხ. ფილმი 15.30 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 18.30 სიცილის ზონა 18.45 ანა-ბანა 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.00 კურიერი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "ალუბლების ქუჩა 12" 00.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 01.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 03.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.15 სერ. "მკაცრი დროება" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ."კოდი კოპერნიკი" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 სერ. "დორის დუკის იდუმალი თავგადასავალი" 19.00 გზა ლონდონისკენ 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 01.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მუსიკა 13.00, 21.25 სერ. "საგა" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი "დიადი მუსიკა" 18.00 დოკ. ფილმი "ძლიერი მოთამაშეები" 18.30 მხ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი "კონფედენციალურია"

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 09.35 მუსიკალური ცისარტყელა 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "ჯარისკაცის მამა". 13.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.05, 18.50, 23.50 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 ოპერა "ბოლემა" თამარ ივერი. 17.20 ძველი აფიშა. 18.10 ჩვენი ქალაქი. 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 დოკ. ფ. "ჩვენი ქალაქი". 20.00 ერთსულოვნების სალონი. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 ერთი დღე მონასტერში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფ. "თბილისის თავგადასავალი". 00.30 მხ. ფილმი "ვატერლოო". 02.30 სიახლენი.

## კვირა 24 ივნისი

07.30, 15.30 დოკ. ფ. "მსოფლიო ქალაქები" 08.00 ან. ფილმი "შრეკი-2" 09.35 საბ. მხ.ფ. "საიდუმლო კუნძული" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა–პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 13.30 დოკ. ფილმი "ჯორჯო არმანი" 14.30 სი–ბემოლი 15.30 აღმოაჩინე საქართველო. 16.30 ჩვენი ეზო. 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 19.00 მხ. ფ. "ტრუმენის შოუ" 21.00 ცხოვრება მშვენიერია. 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. მეოთხედფინალი (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.45 მხ. ფილმი "მექსიკელი" 03.50 მხ. ფ. "მთვლემარე სიცარიელე" 05.45 მხ. ფ. "რიპლის თამაში"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 18.00 მხ. ფილმი "ჩვენი სახლი" 19.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 20.00 მხ. ფილმი "სამი სურვილი" 22.00 მხ. ფილმი "ბოლო ცეკვა ჩემია" 00.10 მხ. ფილმი "სამახსოვრო დღიური"

08.00 ქრონიკა 08.15, 09.15, 11.15 ან. ფილმი 09.50 ეტალონი 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ბასტი-ბუბუ 11.45 ქარ. სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "აიქარლი" 14.30, 20.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 იუმორინა 16.30 დოკ. ფ. "ბიკინის სამყარო" 17.40 იმედის გმირები 17.55 კულინარიული დუელი 19.05 25–ე კადრი 19.35 რომ გადახვალ გააჩერე 20.00 ქალური ლოგიკა 21.00 ღამის შოუ 22.00 ქარ. სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" 00.00 კაცების შოუ 00.40 "ფლეიბოი" 01.10 მხ. ფილმი "მეოჯახე" 03.45 მხ. ფილმი "ვარსკვლავის დაბადება" 05.45 მუსიკა

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი – ანიმაცია 11.00 ანა-ბანა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ტოპ გოგო 14.00 რა? სად? როდის? 15.30 ნიჭიერი (გან.) 17.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 პ.ს. კურიერი 22.00 კომედი შოუ 23.30 ტოპ გოგო 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ. ფილმი (ტიტ.) 04.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.15 სერ. "მკაცრი დროება" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ."კოდი კოპერნიკი" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 ევრო-2012. 00.45 მხ. ფილმი 01.30 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერ. "გვენ ჯონსი" 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.15 სერ. "საგა" 15.00 დოკ. სერ. "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი "დიადი მუსიკა" 18.00 დოკ. ფილმი "ძლიერი მოთამაშეები" 18.30 მხ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი "კონფედენციალურია"

ერთსულოვნება 08.00

დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 ჩვენი ქალაქი. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი 10.05, 18.05. 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ძველი აფიშა. 11.00 ქარ. მულტფილმები 11.35 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15, 18.55, 21.55, 00.05 ერთსულოვნების სალონი 13.10 გუთნისდედა 13.40 დოკ. ფ. "ჩვენი ქალაქი". 14.10 ერთი დღე მონასტერში 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 15.55 გზა, რომლითაც ვიარე 16.20 დოკ. ფილმი "შორია გურჯისტანამდე". 16.40 აქტუალური თემა 16.55 საღვთისმეტყველო საუბრები 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.50 მხ. ფილმი "წისქვილი ქალაქის გარეუბანში" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული. 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ. ფილმი "გამტაცებელთა კლუბი"

# რუსი ფანები და ევრო–2012

პოლონეთ-რუსეთის მატჩის შემდეგ რუს და პოლონელ გულშემატკივართა შორის ხელჩართული შეტაკება მოხდა. შედეგად ორივე მხარიდან არიან დაშავებულები, – იტყობინება სააგენტო „უნიარი“.

რუსულ–პოლონურ ურთიერთობებს ჰარმონიულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ამ ორ ქვეყანას შორის როგორც შორეულ, ისე ახლო წარსულში უამრავი სისხლიანი ფურცელია. პოლონეთში სამუდამოდ დაამახსოვრდათ რუსული ოკუპაცია და ტერორი, რომელსაც მოსკოვი საუკუნეების მანძილზე ახორციელებდა. თავის მხრივ, რუსებმაც საკუთარ ტყავზე იწვნიეს პოლონელ აჯანყებულთა ტყვიები. პოლონეთი და კავკასია რუსეთის იმპერიის ყველაზე „ცხელი“ რეგიონები იყო. დღესაც პოლონეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ერთადერთია, რომელიც ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების დასავლურ სივრცეში ინტეგრაციას გადაჭრით უჭერს მხარს. გამომდინარე აქედან, დღესაც ამ ორ ქვეყანას შორის არც ხავერდოვანი ურთიერთობებია. პოლონელთა უმრავლესობის ცნობიერებაში ცნება „რუსი“ დათვის სინონიმია, რომელთან ურთიერთობისას ფრთხილად უნდა იყო. თავის მხრივ, რუსები მიიჩნევენ, რომ „ვარშავა ანტირუსული ინტრიგების უმთავრესი ცენტრია“ (ვ.ჟირინოვსკი). ყველაფერმა ამან თავისი დაღი დაამჩნია პოლიტიკისაგან ისე შორს მყოფ სანახაობას, როგორიც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატია.

– პრესა, როგორც პოლონური, ისე რუსული, ყველაფერს აკეთებდა, რათა ვნებათაღელვა კიდევ უფრო გამძაფრებულიყო, – აცხადებს თავის ინტერვიუში ლეგენდარული პოლონელი მეკარე, ამჟამად კი პარლამენტის დეპუტატი იან ტომაშევსკი.

პოლონურმა პოლიტიკურმა სპექტრმა (როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ) ყველაფერი გააკეთა, რათა ექსცესები თავიდან აეცილებინა. პრემიერმა დონალდ ტუსკმა თავის ტელემიმართვაში მოუწოდა მოსახლეობას, ევრო-2012-ის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ხელი შეეწყოთ. პრემიერ- მინისტრს მხარი დაუჭირა ოპოზიციის ლიდერმა კაჩინსკიმაც.

– მოვუწოდებ მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ აჰყვნენ ემოციებს. ჩვენი პარტია უარს ამბობს ნებისმიერი აქციის ჩატარებაზე მანამ, სანამ ევრო-2012 მიმდინარეობს, – განაცხადა კაჩინსკიმ.

მიუხედავად ამისა, ექსცესები მაინც მოხდა. პოლონელი ექსპერტები ხულიგნობით ცნობილ ინგლისელ გულშემატკივრებზე უფრო რუსებს უფრთხოდნენ. რუსი ფანების გამომწვევი საქციელი არც სანუგეშო პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლეოდა.

– ჩამოსული რუსი გულშემატკივრების უმრავლესობა კორექტულად არის განწყობილი, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც უხეშად და გამომწვევად იქცევიან. ფეხბურთთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ჩხუბი ამ ხალხის ძირითადი პროფესიაა. სამწუხაროდ, ასეთები პოლონელთა შორისაც საკმაოდ არიან, – განაცხადა პრემიერმა ტუსკმა.

ცალკეული „ფანების“ საქციელი მართლაც ძალიან გამომწვევი იყო. ასე მაგალითად, ზოგიერთმა ანტიპოლონური წარწერებიანი მაისური ჩაიცვა. პოლონელები განსაკუთრებით შემდეგმა წარწერამ აღაშფოთა:

– კურიცა ნე პტიცა.
პოლშა ნე ზაგრანიცა!

ბუნებრივია, ამან საპასუხო რეაქცია გამოიწვია. პოლონური ქალაქების ქუჩებშიც ხელჩართული შეტაკებები დაფიქსირდა. იყვნენ პირველი დაშავებულებიც. რაც უფრო ახლოვდებოდა რუსეთ-პოლონეთის მატჩი, ვნებათაღელვაც იზრდებოდა.

– ცეცხლზე ნავთი დაასხა რუსი გულშემატკივრების სურვილმა, ამ დროს ქუჩაში მსვლელობა გაემართათ, – იტყობინება




რადიო „თავისუფლება“.

ვარშავის მერიამ რუსებს ამ მსვლელობის გამართვის ნება დართო. „გაზეტა ვიბორჩამ“ კი გამოაქვეყნა ფრიად საინტერესო სტატია სათაურით „მოდით, რუსებს სასიამოვნო სიურპრიზი გავუკეთოთ“. მასში ნათქვამია, რომ რუსეთში ილახება ადამიანის უფლებები, ხოლო ახალი კანონით ქუჩის მსვლელობების ჩატარებაც პრობლემატური ხდება. გაზეთმა მოუწოდა მოსახლეობას, მიეცათ რუსებისათვის თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის ნება, რაც მათ სამშობლოში ეკრძალებათ. მიუხედავად ამისა, ექსცესი მაინც მოხდა.

– რუსი ფანები დე გოლის მოედანზე შეიკრიბნენ და ეროვნული სტადიონისაკენ დაიძრნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მსვლელობაში ხუთ ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ პოლიციის გაძლიერებული რაზმი (ექვსი ათასი კაცი) იცავდა. მიუხედავად ამისა, ექსცესის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

– პოლონელ ფანთა ჯგუფი რუსებს თავს დაესხა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ორმხრივი ჩხუბის შედეგად ორივე მხარეს იყვნენ დაზარალებულნი. პოლიციის ჩარევის შედეგად ჩხუბის აღკვეთა მოხერხდა. დაძაბულობა უკვე პოლონეთ-რუსეთის მატჩის დროსაც იგრძნობოდა, მატჩის შემდეგ კი ხელჩართული ჩხუბი კვლავ გაიმართა. საქმეში კვლავ პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. ინციდენტი აღიკვეთა, თუმცა დაძაბულობა შენარჩუნდა.

– რუსი ფანების სურვილმა 14 ივნისს, ე.წ. რუსეთის დამოუკიდებლობის დღეს, ვარშავაში „რუსული მარში“ მოეწყოთ, ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა, – იტყობინება ინფორმ-სააგენტო „უნიარი“.

პოლონური ხელისუფლება კვლავ ცდილობდა, ინციდენტი თავიდან აეცილებინა. ვარშავის მერიამ რუსებს მსვლელობის ჩატარების უფლება მისცა. პრემიერმა დონალდ ტუსკმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესი დააჩქარა, რამაც პოლონეთის აღორძინებას შეუწყო ხელი. ტუსკმა მოუწოდა მოსახლეობას, „რუსულ მარშს“ მშვიდად შეხვედროდნენ. თავის მხრივ, წამყვანი პოლონური გაზეთებიც ცდილობდნენ, ვნებათაღელვა ჩაეცხროთ. „გაზეტა ვიბორჩამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსულ-პოლონურ ურთიერთობებში უამრავი შავი ფურცელია, მაგრამ არსებობს საერთო ფასეულობებიც, ასე მაგალითად, პოლონეთში ჭკუას კარგავენ ბულატ ოკუჯავას შემოქმედებაზე, რუსეთში კი პოლონური თეატრი ძალიან უყვართ. მიუხედავად ამისა, ჩხუბის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა:

– პოლონელი ფანების ჯგუფი რუსული მარშის მონაწილეებს თავს დაესხნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თავდაპირველად ყველაფერი უცენზურო გინებებითა და ურთიერთშეურაცხმყოფელი ეპითეტებით დაიწყო. სკანდირებას „წინ, რუსეთო“ და „რუსები მუდამ გამარჯვებული არიან?“ პოლონური „აქედან წაეთრიეთ“, „რუსები აზიელი ველურები არიან“ ერთვოდა. შემდეგ ამას ქვების სროლაც მოჰყვა, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. პოლიციამ წყლის ჭავლი და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. დაკავებულ იქნა 184 ხულიგანი. მათ შორის როგორც რუსეთის, ასევე პოლონეთის მოქალაქეებიც იყვნენ. ორივე მხარეს იყვნენ დაშავებულნი.

– სასამართლომ დაკავებულ ხულიგნებს, მათ შორის 7 პოლონელ და ასევე რუსეთის მოქალაქეებსაც რამდენიმე თვით პატიმრობა მიუსაჯა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღნიშნულმა ფაქტმა რუსეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთებში გაჩნდა სტატიები, რომელთა ავტორებიც შეეცადნენ, ყოველივე „ანტირუსულ პროვოკაციად“ მოენათლათ. პრეზიდენტმა პუტინმაც რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების აშენების ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ფედოტოვი პოლონეთში გაგზავნა.

– პუტინი სკანდალის აზვირთებით დაინტერესებული არ არის და ამიტომაც მიავლინა რუსეთში ფედოტოვი. ის ცნობილია, როგორც დისიდენტი და პუტინის ერთ-ერთი თავგამოდებული კრიტიკოსი, – წერს „გაზეტა ვიბორჩა“.

ფედოტოვმა დაკავებული ფანების უმრავლესობის გათავისუფლებას მიაღწია, თუმცა უეფამ რუსეთის ნაკრებს პირობითად ექვსი ქულა ჩამოაჭრა. რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივართა ხულიგნობის გამო გვარიანად დააჯარიმეს. ამრიგად, ამ ეტაპზე ინციდენტი დასრულდა. ევროპის ჩემპიონატი კი გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

# დევნილების უფლებების დარღვევის შეწყვეტას ითხოვენ

„სახალხო კრების“ დევნილთა კომიტეტი და „დევნილთა სამოქალაქო კომიტეტი“ ხელისუფლებას იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დარღვევის შეწყვეტისა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს.

შესაბამისი განცხადება მათ 15 ივნისს გაავრცელეს. განცხადების ავტორები აცხადებენ, რომ მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების პერიოდული ფულადი დახმარებებისა, რომელსაც ისინი იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად და მათი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აგზავნიან, საქართველოში დევნილთა ელემენტარული საარსებო პირობები არ უმჯობესდება. მათი განმარტებით, დევნილთა და განსახლების სამინისტრო შემოდინებულ თანხებზე ინფორმაციას არ ასაჯაროებს, რაც მათი არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

„დევნილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით, მათ ფულადი კომპენსაციით უკვე დააკმაყოფილეს 22 000 ათასამდე ოჯახი, მაგრამ ყველასთვის გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით აარჩიეს ეს ოჯახები. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი პოლიტიკური ნიშნით იყვნენ არჩეულნი“ – ნათქვამია „სახალხო კრების“ დევნილთა კომიტეტისა და „დევნილთა სამოქალაქო კომიტეტის“ ერთობლივ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე მოყვანილია დევნილ მერი ზიბზიბაძის მაგალითი.

მასში აღნიშნულია, რომ ზიბზიბაძე დაბადებულია და ცხოვრობდა აფხაზეთში, თუმცა, იმის გამო, რომ ის მეუღლის გვარზეა, მეუღლე კი არ არის დევნილი, მას დევნილის სტატუსი შეუჩერეს.

„სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით დღემდე ზიბზიბაძეს სხვადასხვა დაპირებებით ატყუებენ. ამას დაემატა ისიც, რომ მან ჯანდაცვის სამინისტროს ბალანსზე მყოფი, დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებული შენობის საცხოვრებლად უვარგისი ოთახი, საპიფარეშო, გაარემონტა საკუთარი თანხებით და წლების განმავლობაში იქ ცხოვრობდა“ – ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ მოგვიანებით შენობა „ინტერმედის“ საკუთრებაში გადავიდა, რამაც იქიდან დევნილების იძულებით გამოსახლება გამოიწვია.

„7 ივნისს, მერი ზიბზიბაძის სახლში არყოფნის დროს, მივიდნენ სასამართლოს აღმასრულებლები და მთელი ავეჯი ნივთებთან და ფულად დანაზოგთან ერთად, პირდაპირ ქუჩაში გამოუყარეს, რამაც მათი ნაწილობრივ დაკარგვა და განადგურება გამოიწვია“-აღნიშნულია განცხადებაში.

„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა“ და „სახალხო კრების“ დევნილთა კომიტეტი აცხადებს, რომ ეს ადამიანის უფლებების იგნორირება და პირადი საკუთრების ხელყოფაა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ექცევა საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს.

გაცხადების ავტორები მოითხოვენ, ხელისუფლებამ დევნილების შევიწროება და მათი ტერორი შეწყვიტოს, კონკრეტულ შემთხვევებში კი, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილი ოჯახები ალტერნატიული ფართით ან ფულადი კომპენსაციით დააკმაყოფილოს.

**ნიუსპრესი**



## hჰჯცეჯჰლბ ,

*შვეულად:* 1. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 2. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 3. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 4. ოსური ცეკვა; 5. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 8. კორიდას მთავარი მონაწილე; 12. უკრაინის პარლამენტი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ქალის ერთგვარი საყურე; 16. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 18. საქონლის საერთო წონა შეფუთვიანად; 20. უბანი თბილისში.

*თარაზულად:* 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. გია დანელიას კინოკომედია; 9. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 10. ადამიანის ან ცხოველის ჩანასახი; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. კუბის დედაქალაქი; 19. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 21. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკელი ნაწილი; 22. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 23. ფრანგული იავნანა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰჯცეჯჰლტ,ბც გფცეჟტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დედვეიტი; 2. სააბი; 3. გრუნდიგი; 4. საცივი; 7. ხიხვი; 9. ატოლი; 12. პროდიუსერი; 14. საირმე; 15. დიადორა; 17. ქუვეიტი; 20. ქლორი.

**თარაზულად**: 5. რეფერატი; 6. მარსალა; 8. კაბალიე; 10. სუვენირი; 11. სტრიტი; 13. შეიკერი; 16. მიკიტანი; 18. კუკია; 19. იანძი; 21. ოლიმპი; 22. არმატურა; 23. პორტერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. თაკვერი; 2. დეფიციტი; 3. ყაყაჩო; 4. წინდა; 5. სერფინგი; 8. მონიუშკო; 12. მუზა; 13. სინაგოგა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. სარმა; 20. იაგო.

**თარაზულად**: 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. სენტო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცოლიკაური; 21. ბოკვერი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ქ.სოხუმის პედაგოგიური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, სოხუმის განათლების განყოფილების გამგე, ქალბატონი

**დაგმარა ნიკოლოზის ასული კუჩეროვა-ნინიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახალხო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ორდენებისა და მედლების მფლობელი, აფხაზეთის განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, სოხუმის განათლების განყოფილების გამგე, ქალბატონი

**დაგმარა ნიკოლოზის ასული კუჩეროვა-ნინიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის განათლების სისტემის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ახალგაზრდა თაობის ღირსეული აღმზრდელი, წლების მანძილზე განათლების მინისტრის მოადგილე დევნილობაში, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, გამოცდილი ხელმძღვანელი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**დაგმარა ნინიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ალანი თოდუა ოჯახებით თანაუგრძნობენ გურამ მისაბიშვილს ძმის

**გიული მისაბიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7!@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6
ivnisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6341

ევრო —2,0488

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5440

რუსული რუბლი — 0,0499

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 16 ივნისისთვის






# 14 ივნისიდან!

## დიდი საზაფხულო აქცია

## ქართული მწერლობის საუნჯე

## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი




**16 ივნისი _ ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — აღელვებული ხართ, დამშვიდდით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემას ადვილად აგვარებთ. **ტყუპები** — არავის ენდობით, რატომ? **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, გახარებული ხართ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა გჭირდებათ, სიახლე კარგია. **სასწორი** — დაღლილი ხართ, დასვენება სწორედ რომ დროულია. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — არ დაივიწყოთ მეგობრები, მათ თქვენი იმედი აქვთ. **თხის რქა** — ახალი ენერგია გჭირდებათ და მიაგნებთ კიდეც. **მერწყული** — ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **თევზები** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერს მოასწრებთ.

**17 ივნისი _ ეს დღე მეგობრებს დაუთმეთ**

**ვერძი** — დაისვენეთ, გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფული გაქვთ, მაგრამ დასვენება ნამდვილად გჭირდებათ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული თავგადასავალი გაგამხიარულებთ, თუმცა ძველებურად დაღლილი გამოიყურებით. **ლომი** — მეგობრები გელიან, გაფრინდით მათთან. **ქალწული** — პრობლემას მალე გადაჭრით, მთავარია მოინდომოთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — არ აყვეთ სხვებს, დღეს ახლობლების წრეში იტრიალეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან საინტერესო პიროვნება მოდის, მიიღეთ. **თხის რქა** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აწესრიგებთ. **მერწყული** — ფული გაქვთ, გაანაწილეთ დრო. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ეწვიეთ მეგობრებს.

უბცევჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

## ქველმოქმედება გულშემატკივრობის გაყიდვით

მას შემდეგ, რაც ბელგიის ნაკრები ევრო 2012-ზე ვერ მოხვდა, ფანებმა უკმაყოფილება ორიგინალური ხერხით გამოხატეს — 20 000-მდე ბელგიელი საკუთარ გულშემატკივრობას ყიდის.

როგორც ფანებმა განაცხადეს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ მზად არიან, ნებისმიერ სხვა ნაკრებს უგულშემატკივრონ, იარონ მათ თამაშებზე, შეძახილებით გაამხნევონ ფეხბურთელები და მათი ჰიმნიც კი ისწავლონ.

— თუ ნაკრები ჩემპიონატს გამოეთიშა, ჩვენ 24-საათიან გლოვას გამოვაცხადებთ, შემდეგ კი ჩვენს გულშემატკივრობას სხვა ნაკრებს მივყიდით, — განაცხადეს ფეხბურთის ბელგიელმა თაყვანისმცემლებმა.

ბელგიელების ამ უცნაურ შეთავაზებას მუშტარი უკვე გამოუჩნდა — მათი პირველი კლიენტები ჰოლანდიელები არიან. ჰოლანდიელმა მოქალაქეებმა გულშემატკივართა ჯგუფი ინტერნეტაუქციონზე 3.000 ევროდ იყიდეს.



ერთია, ბელგიელები სულაც არ აპირებენ, ეს ფული ჯიბეში ჩაიდონ — ამ „ბიზნესიდან“ შემოსულ თანხას გაეროს ფონდ იუნისეფის ერთ-ერთ საბავშვო პროექტს გადაურიცხავენ.

## მსოფლიო ბარაკ ობამას არჩევნებში მხარს უჭერს

კომპანია „პიუვ რისერჩ სენჩერის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიო ყველა დიდი ქალაქის მცხოვრები ბარაკ ობამას ხელმეორე გაპრეზიდენტებას მიესალმება.

ამერიკის პირველ შავკანიან პრეზიდენტს მხარს უჭერს საფრანგეთის და გერმანიის ყოველი მეათე, ხოლო დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, იტალიისა და ჩეხეთის ყოველი მერვე მცხოვრები.

საბერძნეთის მოსახლეობის 45%-ს, პოლონეთის 40%-ს და რუსეთის 25%-ს სურს ობამა ისევ იხილოს ამერიკის პრეზიდენტად. ყველაზე დიდი მომხრეები ობამას ბრაზილიაში-72% და იაპონიაში-66% ჰყავს. ეგვიპტეს, იორდანიასა და ლიბანს 62-76%-ით ობამას ხილვა აღარ სურთ თეთრ სახლში. მიუხედავად წარმატებისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2009 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, 2012 წლის ივნისისთვის ობამას რეიტინგი 78%-იდან 63%-მდე დაეცა.

ბარაკ ჰუსეინ ობამა მეორე (დ. 4 აგვისტო, 1961) — აშშ-ის პრეზიდენტი 2009 წლის 20 იანვრიდან. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრიკელი-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში. 2007 წლის თებერვალში საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებიდან ობამა აქცენტს აკეთებს ერაყში ომის დასრულებაზე, ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდაზე და საყოველთაო ჯანდაცვაზე, როგორც უმთავრეს პრიორიტეტებზე.

# 6 ივნისიდან

ეყბრფკეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 25-ე ტომი

## ნტნხტჰბ




3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯვცჯსფნ ლბლბ hდფჯბ ლფნჯდცც
ვცჯაჯბჯ გჯჯბნბhფიბ7
ვცნყბცჰც,ფცფ ლფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ
* კფჰბ

## hჰჯცდჯჰლბ ფ

***შვეულად:*** 1. დონ-კიხოტის სატრფოს სახელი; 2. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. თემის გვარის მეთაური სვანეთში; 7. ყურის ანთება; 9. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 15. ფართო ხეივანი ქალაქის ქუჩის გაყოლებაზე; 17. ჩინელი ფილოსოფოსი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

***თარაზულად:*** 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. მხარე გერმანიაში; 8. ამერიკელი მოკრივე, პირველი მსოფლიო ჩემპიონი კრივში; 10. მაღალმთიანი ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე; 11. მოსავლის ამღები კომბაინის სამკელი ნაწილი; 13. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 16. ქართველი მეცნიერი, გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჯეირანი ანუ ...; 21. ესპანური ავიაკომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

